ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 30 მაისი, 2013 | №126 (6127) | ფასი: 30 თეთრი

29 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
პიკასო
8 ლარი



თამაზ თამაზაშვილი: „ყველაზე საშიში კაცი ხბოსთვალება ბაქრაძეა“

კახეთის სამხარეო პოლიციის ყოფილი უფროსი სააკაშვილს სასამართლოში უჩივის

გვ.3

გოგი ქავთარაძე: „ნაციონალებმა ყელყელაობას თავი დაანებეთ!“

გვ.3

ვაჟა ოთარაშვილი: „ერთსქესიანთა ქორწინებას არც ერთი რელიგია არ იწონებს“

გვ.4

კობა ნარჩემაშვილი: „მერაბიშვილის დაკავება ხალხში სამართლიანობის განცდას გააჩენს“

გვ.2

მიხეილ სააკაშვილმა ხუთი წლის ბავშვის მკვლელობაში მსჯავრდებული დედა შეიწყალა

გვ.2

დიმიტრი შაშკინი: „26 მაისის საქმე ბოლომდე უნდა გამოგვეძიებინა“

გვ.7

ვლადიმერ ხომერიკი: „პუტინი ივანიშვილთან შესახვედრად მზადაა“

გვ.2

ნონა გაფრინდაშვილი: „ვინც სისხლშია გასვრილი, ყველა უნდა დაისაჯოს!“

ევროსაბჭო ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებით შეშფოთებულია

გვ.5

გვ.7

21 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
პატრიარქები
8 ლარი

ISSN 1987-9385

5 ბრიუსელში მერაბიშვილის მხარდამჭერი რეზოლუცია ჩავარდა

4 „გივი თარგამაძე ჩამოვიდა და პროვოკაციებიც დაიწყო“

6 ადვოკატთა კორპუსი დღეს ქუთაისში საპროტესტო აქციას გამართავს

5 ვაკეში ბიზნესმენ თამაზ ნიქარაძის მეუღლის მანქანა აფეთქდა

კობა ნარჩემაშვილი: „მერაბიშვილის დაკავება ხალხში სამართლიანობის განცდას გააჩენს“

შორენა გონგლაძე

შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი კობა ნარჩემაშვილი აქტიურ პოლიტიკაში ბრუნდება. ამის შესახებ განცხადება ნარჩემაშვილმა „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. ნარჩემაშვილის თქმით, მან უმრავლესობის დეპუტატ გია ჟორჟოლიანთან ერთად 2010 წელს დააფუძნა პარტია „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“.

– 2010 წლის მარტში დაფუძნდა „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“, რომლის თავმჯდომარეც არის გია ჟორჟოლიანი და მე ვარ ამ პოლიტიკური გაერთიანების საბჭოს წევრი. მიუხედავად იმისა, რომ იყო ხშირი შემოთავაზებები სხვადასხვა პოლიტიკური ძალისგან, არ მინდოდა ჩემი პოლიტიკური აქტივობა ყოფილიყო დაკავშირებული რომელიმე პარტიასთან. მე დღეს ვთვლი, რომ მოდის „სოციალ-დემოკრატიული“ იდეოლოგიის დრო. ჩვენც ვფიქრობთ, რომ სოციალური სოლიდარობა უმნიშვნელოვანესია. ამიტომაც ჩვენ გააქტიურებას, რეგიონში წარმომადგენლობის გახსნას და ყრილობის ჩატარებას ვაპირებთ“, – აცხადებს ნარჩემაშვილი.

შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი კობა ნარჩემაშვილი მიიჩნევს, რომ 2011 წლის 26 მაისს შსს-მ არაპროპორციული ძალებით და მიუღებელი ფორმებით დაშალა ოპოზიციის აქცია.

– ძალა, რომელიც 26 მაისს იქნა გამოყენებული, არაპროპორციული იყო იმ ხალხთან, რომელიც გამოსული იყო ქუჩაში. აქციის დაშლის ფორმები იყო მიუღებელი და ყველაზე მძიმე იყო ის, რომ ღონისძიებების დაშლის შემდეგ ამან პოლიტიკური ანგარიშსწორების ფორმები მიიღო. ძალადობა ხდებოდა მაშინ, როდესაც ამის საჭიროება არ იყო. საქმე გვაქვს გადამეტებასთან. 26 მაისს ანგარიშსწორებამ ქუჩიდან პოლიციის შენობებში გადაინაცვლა, – განაცხადა კობა ნარჩემაშვილმა.

ნარჩემაშვილი მიიჩნევს, რომ მერაბიშვილის დაკავება საზოგადოებაში სამართლიანობის აღდგენის განცდას გამოიწვევს, რადგან ხალხში ძალიან საფუძვლიანი ეჭვი არსებობს ვანო მერაბიშვილის დანაშაულებრივ სქემასთან დაკავშირებით.

ნარჩემაშვილი ამბობს, რომ საზოგადოების ყველა ფენაში არსებობს საფუძვლიანი და ლეგიტიმური ეჭვი ვანო მერაბიშვილის დანაშაულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. მისივე თქმით, ამ ეტაპზე სამართლებრივი სისტემის და კონკრეტული ბრალდებების ჯერია.

რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენის პროცესს ზოგადად, ნარჩემაშვილი ამბობს, რომ ეს საკითხი კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს.

– მე ვემხრობი 2004-2012 წლების პროცესების სამართლებრივ და პოლიტიკურ შეფასებას, ისევე, როგორც 1991-1992 წლებისას, – აცხადებს ნარჩემაშვილი.

რაც შეეხება კითხვას იმასთან დაკავშირებით, მოახდენს თუ არა მერაბიშვილის დაკავება გავლენას დასავლეთის მხარდაჭერაზე, კობა ნარჩემაშვილი აცხადებს, რომ ხელისუფლებას ხშირად აქვს დილემა ორ თანაბარ არჩევანს შორის.

– ამ ეტაპზე ეს დილემა იყო საშინაო მხარდაჭერის შენარჩუნება, საზოგადოების მოთხოვნის გათვალისწინება ან დასავლეთის რეაქცია, – განაცხადა ნარჩემაშვილმა.

რაც შეეხება თამაზ თამაზაშვილის დაკავებას, კობა ნარჩემაშვილი მის დაკავებას უკანონოს უწოდებს. ნარჩემაშვილის თქმით, მისი მინისტრობის პერიოდში, თამაზაშვილი იყო საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე.

– თამაზ თამაზაშვილის დაკავება მოხდა უკანონოდ. გენერალს, სამხარეო პოლიციის ყოფილ უფროსს, საბარგულში ავტომატის დება არ სჭირდება. ადამიანს, რომელსაც აქვს ტაბელური იარაღები გაფორმებული, რაში სჭირდება ავტომატის ქონა საბარგულში? თუ მასალები არსებობს, არ დაიწყოს გამოძიება და პროკურატურამ ეს უნდა გადადოს, რადგან ის შს მინისტრის ახლო ნათესავია? მე როგორც ვიცი, დაკავებულებს აქვთ არგუმენტები და ორივე მხარე შეეცდება თავის სიმართლის დამტკიცებას, – აცხადებს ნარჩემაშვილი.

ვლადიმერ ხომერიკი: „პუტინი ივანიშვილთან შესახვედრად მზადაა“

შორენა გონგლაძე

„თუ თქვენ ამბობთ, რომ რუსეთი არის ოკუპანტი ქვეყანა, რადგან მას აქვს საქართველოს ტერიტორია ოკუპირებული, მაშინ ისიც ვთქვათ, რომ საქართველოც ასევე არის ოკუპანტი, რადგანაც რუსეთის ტერიტორიაზე ერთი მილიონი ქართველი ცხოვრობს,“ – ეს განცხადება „რუსი და ქართველი ხალხის ერთიანობის ფონდის“ პრეზიდენტმა ვლადიმერ ხომერიკმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

მისი თქმით, ეს არ არის ოკუპაცია და ყველაფერი საქართველოს მხრიდან გადადგმულმა გაუთვლელმა ნაბიჯებმა განაპირობა.

– ჩვენ ის პოლიტიკა არ უნდა გავაგრძელოთ, რამაც დღევანდელ სიტუაციამდე მიგვიყვანა. გასაგებია, რომ ყველაზე კარგები ვართ, მაგრამ სიტუაციას რეალურად უნდა შევხედოთ. რუსეთი არის დიდი ქვეყანა და თავისი გეო-პოლიტიკური ინტერესები აქვს. არ ვფიქრობ, რომ საქართველოს ტერიტორია რუსეთის მიერ არის ოკუპირებული, ოკუპაცია სულ სხვა რამეა, აფხაზეთისა და ოსეთის ტერიტორიაზე რუსი სამშვიდობოების ყოფნა ჩვენი ხელისუფლების ნაბიჯებმა გამოიწვია. ქართველების მხრიდანაც ოკუპირებულია რუსეთი. რუსეთში ახლა 1 მილიონ ქართველზე მეტი ცხოვრობს“, – განაცხადა ვლადიმერ ხომერიკმა და აგვისტოს ომის პროვოცირებაში საქართველოს ყოფილი ხელისუფლება დააადანაშაულა და აღნიშნა, რომ ცხინვალს ქართველები ბომბავდნენ.

მისივე თქმით, რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების უკან წაღება შეუძლებელია, თუმცა არსებობს სხვა გზა, რომ საქართველო ერთიანი იყოს“. მან ერთადერთ ასეთ გზად საქართველოს ხელისუფლებაში რეალურად პროქართული მთავრობის მოსვლა დაასახელა, ასეთ ძალად ვლადიმერ ხომერიკს ბევრი მიაჩნია, თუმცა მან მხოლოდ კახა კუკავას პარტია გამოყო.

– „საქართველოში უნდა მოვიდეს მთავრობა, რომელიც იქნება პროქართული და არ იქნება არც რუსეთის და არც ამერიკის ინტერესების გამტარებელი. საქართველოში არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, რომ საქართველოს ინტერესები დაუკავშირონ ნატო-ს და ამერიკას, რომელიც საფრთხეს უქმნის რუსეთს. საქართველოში ასეთი პოლიტიკის გამტარებლად და პროქართულ ძალად კახა კუკავას მივიჩნევ, – აცხადებს ხომერიკი.

როგორც ვლადიმერ ხომერიკი ამბობს, საქართველოს უნდა ჰქონდეს მრავალვექტორიანი პოლიტიკა.

– ის პოლიტიკა უნდა გავატაროთ, რაც ერგება ჩვენს ხალხს და სახელმწიფოს. არ უნდა ვემდუროთ დიდ სახელმწიფოს, რომელმაც ბევრი გააკეთა იმისთვის, რომ საქართველო გაერთიანებულიყო, – განაცხადა ხომერიკმა.

რაც შეეხება დვანსა და დიცში საზღვრის გადმოწევას, ვლადიმერ ხომერიკი ამბობს, რომ ეს არასწორია და დააზუსტებს ყველაფერს.

მისივე თქმით, თუ უსაფუძვლოდ დაირღვა საზღვარი, რუსეთის მთავრობას მიმართავს.

ხომერიკი ოკუპაციის მუზეუმის თემასაც შეეხო და აღნიშნა, რომ საქართველოში არ არის საჭირო ოკუპაციის მუზეუმის არსებობა. ის სვამს კითხვას, არსებობს თუ არა იმ ქვეყნების ოკუპაციის მუზეუმები, რომლებიც სხვადასხვა დროს თავს ესხმოდნენ საქართველოს?

ვლადიმერ ხომერიკი ასევე ამბობს, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მზად არის შეხვდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს, თუმცა შეხვედრა უნდა იყოს ქართული მხარის ინიციატივა.

მისი თქმით, რუსეთი ელოდება იმ ნაბიჯებს, რომლებსაც გადადგამს საქართველო და ახალმა მთავრობამ უნდა გააკეთოს განცხადება რუსეთთან ურთიერთობის შესახებ.

ხომერიკის თქმით, სამწუხაროა, რომ ჯერჯერობით ამის სურვილი პრემიერ-მინისტრს არ გამოუთქვამს.

– მე ვარ ვლადიმერ პუტინის ნდობით აღჭურვილი პირი და მისგან მაქვს ინფორმაცია, რომ გამოთქვამს ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის სურვილს. ჯერჯერობით საქართველოს პრემიერ-მინისტრის მხრიდან მხოლოდ ის ითქვა, რომ ჯერ მზად არ არის პუტინთან შესახვედრად. რუსეთის მთავრობა და რუსი ხალხი ახალი ქართული მთავრობის მოსვლას მიესალმა და დიდი იმედები იყო ახალი მთავრობის მიმართ, რომ ურთიერთობები დათბებოდა,'– განაცხადა ვლადიმერ ხომერიკმა. მისივე თქმით, წესით, შეხვედრა უნდა წამოსულიყო საქართველოს მხრიდან.

მოვიდა ახალი მთავრობა და უნდა თქვას, როგორ აპირებს რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას,'– განაცხადა ხომერიკმა. მისივე ვარაუდით, პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი პუტინთან შეხვედრისგან თავს იმ მიზეზით იკავებს, რომ მას ზურგზე აწევს ამერიკა.

2008 წლის აგვისტოს მოვლენები გამოწვეული იყო საქართველოს მთავრობის, კერძოდ, მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკით. მას სურდა, რომ რუსი და ქართველი ხალხი ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინა. რაც შეეხება აღიარებას, რუსეთს არ ჰქონდა ალბათ სხვა გზა, თუმცა ჩემთვის ეს მისაღები არ ყოფილა,'– აღნიშნა ხომერიკმა.

მისივე თქმით, რუსეთის ინტერესში შედის თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო. აუცილებელია, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობები, რადგან დაიწყოს ურთიერთობების დათბობა ორ ქვეყანას შორის.

როგორც ხომერიკი აცხადებს, საქართველომ დაუშვა დიდი შეცდომა, რომ გახსნა ოკუპაციის მუზეუმი, ასევე აღიარა ჩერქეზთა გენოციდი. ხომერიკის თქმით, საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტი არ უნდა გაგრძელდეს.

მიხეილ სააკაშვილმა ხუთი წლის ბავშვის მკვლელობაში მსჯავრდებული დედა შეიწყალა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხუთი წლის ბავშვის მკვლელობაში მსჯავრდებული დედა შეიწყალა. ტელეკომპანია „იმედის“ ინფორმაციით, ქვეყნის პირველი პირის ბრძანების საფუძველზე მსჯავრდებულმა საპატიმრო 25 მაისს დატოვა.

მსჯავრდებულის გათავისუფლების რეკომენდაციით პრეზიდენტს შეწყალების სახელმწიფო კომისიამ მიმართა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ელენე თევდორაძეც ადასტურებს.

„ვადასტურებ, რომ მივეცით დადებითი რეკომენდაცია, რადგანაც ჩავთვალეთ, რომ ეს არ იყო განზრახ მკვლელობა. ბავშვი ცელქობდა, დედამ მას დაარტყა, ბავშვი დავარდა და გარდაიცვალა. ამ ქალს კიდევ ორი შვილი ჰყავს და გვქონდა ციხიდან ინფორმაცია, რომ ქალბატონი პრაქტიკულად ვერ არის, იქიდან გამომდინარე რაც მოხდა“, – განაცხადა ელენე თევდორაძემ.

შეგახსენებთ, რომ 2011 წლის თებერვალში სამართალდამცველებმა მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელში, შვილის მკვლელობის ბრალდებით ახალგაზრდა ქალი დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, შელაპარაკების ნიადაგზე დედამ ხუთი წლის შვილი ჯერ სასტიკად სცემა, შემდეგ კი თავის არეში შეშის ნაჭრის ჩარტყმით მოკლა.

მედიანიუსი

სამხედრო პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე ფულის მითვისების ბრალდებით დააკავეს

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის გამოძიების მთავარი სამმართველოსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ, ერთობლივად გატარებული ღონისძიებების შედეგად, დაკავებულია სამხედრო პოლიციის დეპარატმენტის უფროსის ყოფილი მოადგილე პოლკოვნიკი მალხაზ ბოხუა.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამხედრო პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაშია მხილებული.

მალხაზ ბოხუას ბრალი ედება 2012 წლის იანვარ-აგვისტოში, სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, წინასაწარი შეთანხმებით ჯგუფთან ერთად, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის სპეცსახსრებისთვის გამოყოფილი დიდი ოდენობით – 500 000 ლარზე მეტი თანხის მითვისებასა და გაფლანგვაში. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

მედიანიუსი

სერგო ჯავახიძე საოკუპაციო ხაზის გადმოწევას გმობს

,,მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე სერგო ჯავახიძე რუსეთის მხრიდან საოკუპაციო ხაზის გადმოწევასთან დაკავშირებით განცხადებას აკეთებს. ის აღნიშნულ ქმედებას კატეგორიულად გმობს და მოუწოდებს რეინტერგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს, \მკაფიო მესიჯები გააკეთოს და ორაზროვანი გამონათქვამებით ნუ დაბნევს ქართულ საზოგადოებას“.

,,რასაც პაატა ზაქარეიშვილი ამბობს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესდება, პრობლემას ვერ მოაგვარებს. იგივე სტრატეგია ჰქონდა ,,ნაციონალურ მოძრაობას“, როცა აკეთებდნენ და ალამაზებდნენ საზღვრისპირა სოფლებს. რეალურად, ეს სოფლები დავკარგეთ და ცხინვალიდან და ჯავიდან მასობრივად დაბრუნებული ოსები არ გვიანახავს. ქვეყნის შიგნით კი არ უნდა ვკინკლაობდეთ ამ საკითხს როგორ მივუდგეთ, არამედ ხელისუფლება და ოპოზიცია, სრულიად ქართული საზოგადოება ერთსულოვნად უნდა დადგეს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის სადარაჯოზე. რაც შეიძლება, მეტი პროპაგანდა უნდა დაიწყოს თემის წინ წამოსაწევად და გაზიარდოს საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობა“, – მიიჩნევს ჯავახიძე.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

თამაზ თამაზაშვილი: „ყველაზე საშიში კაცი ხბოსთვალება ბაქრაძეა“

კახეთის სამხარეო პოლიციის ყოფილი უფროსი სააკაშვილს სასამართლოში უჩივის

შორენა მარსაგიშვილი

გენერალი თამაზ თამაზაშვილი ნაციონალების ერთ-ერთი მთავარი სამიზნე გახლავთ. ალბათ ყველას გახსოვთ, წინასაარჩევნოდ გიგა ნასარაიძის მიერ დამზადებულ ვიდეორგოლებს რომ ატრიალებდნენ. ამ ვიდეო-რგოლებში თამაზაშვილი ქვეყნის დამაქცევრად იყო წარმოჩენილი.

ნაციონალების რისხვა გენერალ თამაზაშვილს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ დაატყდა. მოგეხსენებათ, რომ გენერლის სიძე ირაკლი ღარიბაშვილია. ამჟამინდელ მსტოვართუხუცესს კი ივანიშვილის კარზე მაშინ დიდი გავლენა ჰქონდა.

თამაზაშვილი იარაღის ტარებისთვის 2013 წლის ოქტომბერში დააკავეს. ის პატიმრობიდან 2012 წლის ნოემბერში გათავისუფლდა. თამაზაშვილის წინააღმდეგ იმ პერიოდში ბევრი სიბინძურე ითქვა. კახეთის სამხარეო პოლიციის ყოფილმა უფროსმა გადაწყვიტა ყველას თავისი მიაგოს.

თამაზაშვილის განცხადებით, იგი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და სასჯელაღსრულების ექს-მინისტრ ხათუნა კალმახელიძეს, ასევე მისი ოჯახისა და ახლობლების შეურაცხყოფაში დამნაშავე ყველა პირს სასამართლოში უჩივლებს. ამის შესახებ პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებულმა თამაზაშვილმა გაზეთ „ყველა სიახლესთან“ ინტერვიუში ისაუბრა.

– ყველას ვუჩივლებ, არავის ვაპატიებ იმ ბინძურ კამპანიას, რაც მიხეილ სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა ჩემს წინააღმდეგ დაგეგმეს და განახორციელეს. მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური ამბიციების გამო და მისი უშუალო ხელშეწყობით ციხეში ჯოჯოხეთი გამოვიარე. ჩემთან ერთად გამოიარა დამცირება და შეურაცხყოფა ჩემმა ოჯახმაც. პირობას ვაძლევ საზოგადოებას, არც მიხეილ სააკაშვილს ვაპატიებ ამას. ვუჩივი, პირველ რიგში, მას, ასევე სასჯელაღსრულების ყოფილ მინისტრ ხათუნა კალმახელიძეს და კიდევ მრავალ სხვას, ვინც არ ისვენებს და განაგრძობს ჩემი ოჯახის შეურაცხყოფას, – განაცხადა თამაზაშვილმა.

გუშინ თამაზაშვილმა თავის ადვოკატთან ერთად პრესკონფერენცია გამართა. სადაც გაირკვა, რომ პოლიციის გენერალი სასამართლოში გიგა ნასარიძეს და ოლეგ იგივე სანდრო პანფილოვსაც უჩივლებს.

ადვოკატ ღალი გელაშვილის თქმით, პირველი სარჩელი უკავშირდება იმ კლიპებს, რომელიც წინასაარჩევნოდ გადიოდა.

– ეს იყო წამების ტიპის მოქმედება. წარმოიდგინეთ, ადამიანი საპყრობილეში იყო და მას რადიოდან გამუდმებით ესმოდა მასთან დაკავშირებული ისეთი დანაშაულის შესახებ, რასაც ბუნებაში ადგილი არ ჰქონია. სარჩელი შევა გიგა ნასარიძის წინააღმდეგ, რომელიც თავისი არასამთავრობო ორგანიზაციით „ნაციონალურ მოძრაობაზე“ იყო მიბმული და მოპასუხე მხარე ასევე, სავარაუდოდ, პრეზიდენტიც იქნება, ვინაიდან ის საჯაროდ, ყველა შეხვედრაზე თამაზ თამაზაშვილს ახსენებდა და ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე მას დამნაშავედ მოიხსენიებდა, – განაცხადა გელაშვილმა.

ადვოკატის თქმით, მზადდება მეორე სარჩელიც ოლეგ პანფილოვის წინააღმდეგ, რომელმაც თამაზ თამაზაშვილის შვილის, ლექსო თამაზაშვილთან დაკავშირებით ცილისმწამებლური განცხადება გაავრცელა.

– კვლავ აგრძელებენ თამაზაშვილის ოჯახის შეურაცხყოფას. პანფილოვმა გააკეთა განცხადება, თითქოს 13 წლის წინ, 2000 წელს, თამაზაშვილის ქალიშვილის ბანკეტზე, რესტორნის ეზოში ლექსო თამაზაშვილმა მოახდინა აფეთქება, რა დროსაც ერთი პოლიციელი გარდაიცვალა. ეს არის ცილისწამების უსუსური მცდელობა. ამ შემთხვევას ჰყავს თვითმხილველები, რომლებიც ზუსტად ასახელებენ, თუ რა მოხდა. ამ განცხადებების გამავრცელებლებს ალბათ, ავიწყდებათ, რომ ამ დროს ლექსო თამაზაშვილი მეექვსე კლასის მოსწავლე იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დროს, 2000 წელს, პამფილოვი საქართველოში საერთოდ არ იმყოფებოდა. მაინტერესებს, ეს მისი ინფორმაციაა თუ ნაციონალურმა მოძრაობამ მიაწოდა და რატომ მოხდა ამ განცხადების გაკეთება სწორედ მაშინ, როცა თამაზაშვილის საქმეში ბრალდებული პოლიციელები გააქტიურდნენ, – განაცხადა თამაზაშვილის ადვოკატმა.

გასაგები მიზეზების გამო თამაზაშვილს ნაციონალების მიმართ ცუდი განწყობა აქვს. ყველაზე საშიშ კაცად კი პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე მიაჩნია. მან დავით ბაქრაძის გამონათქვამი გაიხსენა, რომლის თანახმად, „თამაზ თამაზაშვილი არასახსენებელია“.

– დავით ბაქრაძე იძახდა ხოლმე, „ეს არასახსენებელი თამაზაშვილიო“. მე ვარ არასახსენებელი, თუ ეგენი არიან?! – საოცრებაა! ყველაზე საშიში კაცია დავით ბაქრაძე, იმიტომ, რომ ხბოს თვალებით იყურება და ამ დროს მენტალიტეტში რა აქვს, კაცმა არ იცის, – განაცხადა თამაზაშვილმა.

ყურადღების მიღმა მას არც პრეზიდენტი დაუტოვებია. თამაზაშვილმა მიხეილ სააკაშვილი სიცრუეში დაადანაშაულა.

– პრეზიდენტი გამოდიოდა ყოველდღე და კრიმინალად მომიხსენიებდა.ერთ-ერთ გამოსვლაში პრეზიდენტმა პანკისის სპეცოპერაციაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მათ შორის შეხვედრა გაიმართა, თუმცა ეს ტყუილია, რადგან პრეზიდენტს საერთოდ არ შევხვედრივარ და სააკაშვილი მხოლოდ ტელევიზორში მინახავს. „ნაციონალურ მოძრაობას“ ცილისმწამებლური კამპანია უკვე აღარ გაუვა, – აღნიშნა თამაზაშვილმა.

პრეტენზიები ნაციონალებს მისი მისამართითაც აქვთ. არაერთხელ ითქვა, რომ ის შს სამინისტროს საკადრო პოლიტიკაში ერევა. ღარიბაშვილის სიმამრის თქმით, ის საკადრო ცვლილებებში საერთოდ არ ერევა და ნაციონალური მოძრაობის ეს ბრალდებები ისეთივე უსაფუძვლოა, როგორიც წინასაარჩევნოდ ის ბრალდებები, თითქოს თამაზაშვილმა პატიმრების არაადამიანურ მოპყრობაში მიიღო მონაწილეობა.

პოლიციის გენერალი იმ ინფორმაციასაც გამოეხმაურა, რომ უახლოეს პერიოდში ძალოვან უწყებაში მაღალ თანამდებობას დაიკავებს.

– გარწმუნებთ, რომ არანაირი თანამდებობის დაკავებას არ ვაპირებ. მე „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი ვარ, მაგრამ თანამდებობისთვის არც ასაკი მიწყობს ხელს და არც სურვილი მაქვს, – განაცხადა თამაზაშვილმა.

25 მაისს სამართალდამცველებმა თამაზ თამაზაშვილის დაკავების სპეცოპერაციის მონაწილე ყოფილი პოლიციელები დააკავეს. გოჩა ბაღათრიშვილის, გოჩა ჩიტაიას, ზაზა ჭაიას, გრიგოლ კვინიკაძეს, ვლადიმერ გამრეკლიშვილსა და გივი კრავჩენკოს მტკიცებულებათა ფალსიფიკაციაში, განზრახ უკანონო დაკავებასა და სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ედებათ ბრალი. გამოძიების ინფორმაციით, ყოფილმა სმართალდამცველებმა ჩხრეკისა და დაკავების კანონიერი საფუძვლების არარსებობის მუხედავად, ფალსიფიცირებული მტკიცებულებების საფუძველზე, პირადი ღირსების შეურაცხყოფით, უკანონოდ დააკავეს პოლიციის გენერალი თამაზ თამაზაშვილი. ჩადენილი დანაშაულები ხუთიდან რვა წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

დაკავებამდე ყოფილმა სამართალდამცველებმა აქციები გამართეს, პროკურატურა ზეწოლაში დაადანაშაულეს და განაცხადეს, რომ უწყება მათგან თამაზ თამაზაშვილის პოლიტიკური მოტივით დაკავების საკითხის თავის თავზე აღებას ითხოვდა და 24-საათიან ვადას აძლევდა, წინაამღდეგ შემთხვევაში კი ყველას დააკავებდნენ.

მედია-კავშირის ჟურნალისტმა ნინო ჯღარკავამ გუშინ მედიასაშუალებებს მასსა და ყოფილ სამართალდამცველ გრიგოლ კვინიკაძეს შორის შემდგარი დიალოგის ფარული ჩანაწერი გააცნო. ფარული აუდიომასალის მიხედვით, რომელიც სავარაუდოდ, ექსპერტიზას გაივლის, გრიგოლ კვინიკაძე ჟურნალისტს ეუბნება, რომ თამაზაშვილს იარაღი კუდ-ის მაშინდელმა უფროსმა ჩაუდო. საუბარი 2013 წლის 24 თებერველს შედგა.

– თამაზაშვილი ხელბორკილებით დამხვდა, შევიყვანე ჩემს კაბინეტში და ჩაიც შევთავაზე. მან არ იცოდა, რა ხდებოდა და არც მე ვიცოდი, გაოგნებული იყო, ჩემგან გაიგო, რომ ავტომატი ამოუღეს. ამ დროს ხვდება, რომ მეც გაგებაში არ ვარ, რომ იარაღი ნაჩუქარია, დავიბენი და ვუთხარი, რომ შესაძლოა, რაღაც უბედური მესიჯია. თვითონ მითხრა, „ჩემს სიძეს უკავშირდებაო“. მაშინ არც ვიცოდი, ვინ იყო თამაზაშვილის სიძე. კიკალიშვილი და ბაღთარიშვილი ეუბნებოდნენ ბიჭებს, მიაწექით თქვენს ჩვენებას და გადაგიხდიანო. მე ვიცი, ვინც ჩაუდო თამაზაშვილს იარაღი, კუდ-ის უფროსია, – ამბობს ჩანაწერში გრიგოლ კვინიკაძე.

ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა მოითხოვს, რომ მასალა სამართალდეცველებმა მტკიცებულებად გამოიყენონ. ჩანაწერი ჯღარკავამ პროკურატურას გუშინ გადასცა.

– ფარული აუდიომასალის გასაჯაროება მას შემდეგ გადავწყვიტე, რაც ყოფილმა სამართალდამცველებმა პროკურტურა ზეწოლაში დაადანაშაულეს, – განმარტავს ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა.



„ნაციონალებმა „მიქშერს“ დაუწიეთ და ყელყელაობას თავი დაანებეთ!“

დეპუტატებს შორის შელაპარაკება მოხდა

შორენა მარსაგიშვილი

28 მაისს პარლამენტის ვიცე-სპეკერმა გია ბარამიძემ დააანონსა, რომ ნაციონალები პარლამენტის სხდომებს ბოიკოტს გამოუცხადებდნენ. ბოიკოტის მიზეზი ვანო მერაბიშვილის დაკავებაა. ნაცმოძი მას პოლიტპატიმრად მიიჩნევს და მის გათავისუფლებამდე პარლამენტში დაბრუნებას არ აპირებდნენ.

დანაპირების შესრულება ნაციონალებს გაუჭირდათ. გუშინ ისინი პლენარულ სხდომაზე გამოჩნდნენ და ხმაურიანი განცხადებებიც გააკეთეს. გუშინ გაირკვა, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრები საპარლამენტო საქმიანობაში საკითხების მიხედვით ჩაერთვებიან.

დეპუტატ გივი თარგამაძის განმარტებით კი ნაციონალებს ახლა ბევრი საქმე აქვთ. ვანო მერაბიშვილი მოგეხსენებათ რომ პარტიის გენმდივანი იყო. გავრცელებული ინფორმაციით, ნაცმოძი საპრეზიდენტო კანდიდატად სწორედ მერაბიშვილს დაასახელებს. თარგამაძეს საპრეზიდენტო კანდიდატურა არ დაუსახელებია. თქვა, რომ პარტიას მსჯელობა საპრეზიდენტო კანდიდატურასა და სხვა პარტიულ დეტალებზე მოუწევს.

გუშინდელ სხდომაზე ნაციონალებმა დიცსა და დვანში რუსების მხრიდან საზღვრის გადმოწევის ფაქტიც გააპროტესტეს. და ამაში ბრალი ახალ ხელისუფლებასაც დასდეს. დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის თქმით, ამ ფაქტმა დაამტკიცა რომ პუტინი კრავი არასდროს ყოფილა.

– რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები საქართველოსთვის უდიდესი პრობლემაა. ჩვენს მიერ განსაზღვრულმა და წარმოებულმა პოლიტიკამ რუსეთის მიმართ თქვენი პოლიტიკური გუნდის მხრიდან არაერთი კრიტიკა გამოიწვია. გვესმოდა ბრალდებები, რომ ომის დაწყებაში დამნაშავეა საქართველოს ხელისუფლება, რომ ჩვენმა რიტორიკამ რუსეთი გააღიზიანა, რომ ლიდერებს შორის პიროვნული კონფრონტაცია არსებობს და ამის გამო კონფლიქტის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა. თქვენ რომ მობრძანდით ხელისუფლებაში, რუსეთთან ურთიერთობის ახალი ხედვები წარმოადგინეთ, რომელიც ჟღერდა ასე – მოვხსნათ საქართველოს ფაქტორი, როგორც პრობლემა დასავლეთსა და რუსეთს შორის, არ ვუკიჟინოთ რუსეთს, განვავითაროთ კულტურული ურთიერთობები, დანიშნეთ სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან და გვითხარით, რომ ასე დალაგდება ურთიერთობები ამ ქვეყანასთან, თუმცა ვფიქრობ, რომ ჩვენ მაშინაც და თქვენ დღესაც ვერ აცნობიერებთ, რომ რუსეთ-საქართველოს ომის ჭეშმარიტი წინაპირობა, ინტერვენცია და ოკუპაცია დეტერმინებულია საქართველოს სწრაფვით, რომ არ ჩამოყალიბდეს თავისუფალ სახელმწიფოდ. ეს გადაულახავი წინააღმდეგობაა და არა ის, რაზეც თქვენ მიგვითითებდით. ახლა მაინც მიმაჩნია, რომ ეს ინფანტილური ტიტინი, რომ კრავი პუტინი ჩვენი ყიჟინით გავაბოროტეთ და გავამგელეთ, ახლა მაინც უნდა დასრულოთ, განსაკუთრებით იმ ფონზე, რასაც ვხედავთ ყოველდღიურად ოკუპირებულ ტერიტორიებზე ახალი მავთულხლართების სახით. ეს პრობლემა არ მოიხსნება არც რუსეთის აგენტების პოლიტპატიმრად გამოცხადებით, არც ონიშჩენკოს ინსპექტორების დევნით კახეთის ქარხნებში, არც კრემლში ჩამოვლილი დავლურით, არც სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობით და არც პოკლონაია გორაზე რუსული ჯარისთვის დაკრული ტაშით. გავაცნობიეროთ, რომ პოლიტიკა, რომელიც თქვენ წარმოგვიდგინეთ, ჩაფლავდა და უნდა აღიაროთ, რომ ეს მექანიზმები უსარგებლო და ახლა უკვე დამაზიანებელია, – განაცხადა წიკლურმა.

აღშფოთებული წიკლაური ეთანხმება საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციას, რომ დემოკრატიული სამყაროს ჩართვის იმედი უნდა გვქონდეს.

– თუმცა უნდა გავაცნობიეროთ, რომ ამის იმედი უნდა ჰქონდეს მხოლოდ სახელმწიფოს, რომელიც პოლიტიკური ნიშნით ოპონენტებს არ დევნის, – აღნიშნა დეპუტატმა.

მისმა თანამებრძოლმა დავით საყვარელიძემ კი ზურაბ ჟვანიას საქმის გამოძიება მოითხოვა. გუშინდელ სხდომაზე ეს საკითხი პირველად დეპუტატმა გია გაჩეჩილაძემ დასვა. მისი თქმით, ზურაბ ჟვანიას საქმის გამოძიების დასრულების დრო მოვიდა. ამ განცხადებამ საყვარელიძე გააბრაზა.

– ჩვენც გვაინტერესებს, ამდენი თვე გავიდა და ეს თითზე დახვეული, ბინძური მეთოდებით გამოგონილი ე.წ. მკვლელობის საქმე საბოლოო ჯამში იქნებ მართლა გამოძიებულ იქნას და მეც მაინტერესებს, რა ნახეთ ამ საქმეში ისეთი, რაც ამდენი ხანია, საუბარია და ამდენი ხანია, არაფერი თქმულა. მე მგონი, საკმარისია 8 თვე, რომ ეს საქმე ხელახლა ყოფილიყო გამოძიებული და საზოგადოებას გაეგო რაიმე ნიშანი, როცა სხვა ადამიანებზე ბრალდების წარდგენას წინასწარ ახდენთ, საჯაროდ. მეც მხარს გიჭერთ ამაში, რომ დროულად გავიგოთ რა ხდება ამ საქმესთან დაკავშირებით, – განაცხადა საყვარელიძემ.

გიორგი ვაშაძემ კი დაიჩივლა, რომ მასზე მიყურადება ხორციელდება. ხელისუფლებისგან ის მიყურადების ფაქტის გამოძიებას მოითხოვს.

– 29 მაისს მე მყავდა დაახლოებით, 25 სტუდენტი მოყვანილი პარლამენტში იმისათვის, რათა შევხვედროდი, დამეთვალიერებინა ჩემი სამუშაო ოთახი, დამეთვალიერებინა პარლამენტი და მინდოდა, უბრალოდ, მესაუბრა მათთან. პირველი, რომ დაცვამ პრობლემა შეგვიქმნა პარლამენტში მოძრაობაზე, მერე კი მომამაგრეს უფორმო, სპეციალური სამსახურის თანამშრომელი, რომელიც გვისმენდა, თუ რაზე ვსაუბრობდით. მან დაგვტოვა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მკაცრი საუბარი მქონდა მასთან. ასეთი პრეცედენტი პარლამენტში არასდროს ყოფილა გასული 9 წლის მანძილზე. მინდა, გთხოვოთ, რომ ეს კონკრეტული ფაქტი გამოიძიოთ პარლამენტში, რომ მოქალაქეებთან თავისუფლად შეხვედრის, მათთან საუბრის უფლება გვქონდეს, არ გვისმენდნენ და გვიყურებდნენ სხვადასხვა ადამიანები პარლამენტში სამუშაო პროცესში, – აღნიშნა ვაშაძემ.

ის წუხს იმის გამოც, რომ ქვეყანაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური კრიზისია, სამუშაო ადგილები მცირდება და საქართველოს ეკონომიკა ფაქტობრივად, გაჩერებულია.

– ყველაფერი ამის გადაფარვისთვის, თქვენ დააკავეთ ვანო მერაბიშ-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

„გივი თარგამაძე ჩამოვიდა და პროვოკაციებიც დაიწყო“

შორენა კოწოწაშვილი

„საქართველოს გზის“ ლიდერი თეიმურაზ მურვანიძე დარწმუნებულია, რომ მერაბიშვილის წინააღმდეგ პროკურატურას უტყუარი მტკიცებულებები გააჩნია. მურვანიძე ყოფილ პრემიერს პოლიტიკურ პატიმრად არ მიიჩნევს და მიაჩნია, რომ ვანო მერაბიშვილმა არა მხოლოდ გირგვლიანის საქმის და 26 მაისის გამო უნდა აგოს პასუხი, არამედ სხვა დანაშაულობებისთვისაც.

არის თუ არა მერაბიშვილის დაპატიმრებასთან დაკავშირებით დასავლეთში გაკეთებული შეფასებები ნაციონალების ლობისტების დამსახურება და შეძლებს თუ არა მერაბიშვილი სასჯელის მოხდისგან თავის დაძვრენას? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „საქართველოს გზის“ თავმჯდომარე თეიმურაზ მურვანიძესთან.



— პატონო თეიმურაზ, რას იტყვით ვანო მერაბიშვილის დაპატიმრებაზე და მისთვის წარდგენილ ბრალზე? შეიძლება ნაცმოძრაობამ პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე საუბრით ივანიშვილის ხელისუფლებას დასავლეთში სერიოზული პრობლემები შეუქმნას?

— რაც შეეხება მერაბიშვილს, ვფიქრობ, ამაზე კითხვის დასმაც კი ზედმეტია, რადგან მთელი ამ წლების განმავლობაში ყველა კარგად ხედავდა, თუ რა კანონდარღვევებს სჩადიოდა ეს ადამიანი სხვადასხვა პოსტზე მისი ყოფნის დროს. ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება გამოძიებისთვის მისი შს მინისტრის პოსტზე ყოფნის პერიოდი. დარწმუნებული ვარ, გამოძიებას ძალიან მდიდარი მასალა ექნება. ყველას გვახსოვს, როგორ დაახასიათა მერაბიშვილი სააკაშვილმა პარლამენტში გამოსვლის დროს და საზოგადოებისათვის ძალიან საინტერესო იქნება როგორ მოახერხა „გაღლეტილმა“ მერაბიშვილმა მამამისის „კამაზით“ მილიონების შოვნა. ასევე პრემიერ-მინისტრობის პერიოდიც, როდესაც მერაბიშვილმა უკვე მის მიერვე შექმნილი კორუფციული და კრიმინალური სქემები გადაიბარა და აქტიურად აგრძელებდა თავის უკანონო საქმიანობას. ჩვენ გვაქვს გარკვეული ინფორმაციები. დარწმუნებული ვარ, გამოძიებასაც აქვს ეს ინფორმაციები. მერაბიშვილს მოუწევს სრულად აგოს პასუხი ყველა იმ დანაშაულზე, რაც აქამდე ჩაიდინა. რაც შეეხება იმას, თუ რატომ მაინცდამაინც ახლა დააპატიმრეს მერაბიშვილი და არა უფრო ადრე, მე ვფიქრობ, ესეც არის ამ ხელიუფლების ერთ-ერთი კარგი მახასიათებელი. ყველაფერს თავისი დროს აქვს. დარწმუნებული ვარ, პროკურატურამ მერაბიშვილი მხოლოდ შესაბამისი სამხილების მოძიების შემდეგ დააპატიმრა. სწორედ ეს განსხვავებაა „ნაციონალურ“ და „ოცნების“ მთავრობებს შორის. ოქტომბრის შემდეგ, კანონით გაწერილი პროცედურებით მიმდინარეობა გამოძიება და ეს არის უმნიშვნელოვანესი ქვეყნის დემოკრატიული მშენებლობისათვის.

— ნაციონალი ლიდერები ამტკიცებენ, რომ მერაბიშვილს მიმართ უსუსური ბრალდება არსებობსო.

— ნაციონალი ლიდერები რას ამტკიცებენ, სიმართლე გითხრათ უკვე აღარავის დიდად აღარ აინტერესებს. მათი მცდელობები ძალიან მოკლევადიანია და არის მხოლოდ ჭიქაში ქარიშხლის მოწყობის მცდელობა, როგორც ბატონ დარჩიაშვილს უყვარდა თქმა, მათი „ზენიტში“ ყოფნის დროს. დარწმუნებული ვარ, რომ მერაბიშვილის მიმართ წარდგენილი ბრალდებები მოიმატებს და ეს ბრალდებები დამყარებულია მყარ მტკიცებულებებზე. ამას არ უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ პროცედურული დარღვევების გამო თავი დაიძვრინოს სამართლიანი სასჯელისაგან. ამიტომ, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ წინ.

— როგორ ფიქრობთ, 26 მაისის სისხლიანი ანგარიშსწორების გამო თუ წარედგინება მერაბიშვილს ბრალი?

— რა თქმა უნდა, 26 მაისისთვის მან პასუხი უნდა აგოს. ალბათ სანდრო გირგვლიანის საქმის შემდეგ ეს იქნება ერთ-ერთი პირველი, ყველაზე უფრო რეზონანსული საქმე, რაზეც მერაბიშვილს პასუხისგება მოუწევს. მერაბიშვილი რომ მეორე მსოფლიო ომის დროინდელ გერმანიაში დაბადებულიყო, ისეთივე ღირსეული ნაცისტი იქნებოდა, როგორც გესტაპოს შეფი მიულერი იყო.

— ნაცმოძრაობის ლიდერები მერაბიშვილს პოლიტპატიმარს უწოდებენ. პოლიტიკური პარტიის გენმდივნობა პირს პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს? პარტიის გენმდივნობა ინდულგენციაა?

— რა თქმა უნდა, არა. სააკაშვილის თანაგუნდელებმა ძალიან კარგად იციან, რომ მერაბიშვილი სასჯელის მოხდას ვერ აცდება. ამას უნდა შეეგუონ. სასაცილოა მათი მხრიდან პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე საუბარი. თუ ვიღაცა ოდესღაც პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი ან ელჩი იყო, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი დანაშაულზე პასუხს არ აგებენ! ვფიქრობ, პირიქით, თანამდებობის პირს, რომელიც მართავს ქვეყანას მეტი პასუხისმგებლობა აკისრია და აქედან გამომდინარე მეტიც მოეთხოვება. პოლიტიკური სარჩული ამ შემთხვევაში გამორიცხულია! თუ ვინმეს დააკავებენ მხოლოდ იმის გამო, რომ მათი გუნდის წევრი იყო, ეს იქნებოდა პოლიტიკური მოტივი, მაგრამ მერაბიშვილი რომ დამნაშავეა, ეს მისმა თანაგუნდელებმაც ძალიან კარგად იციან, არათუ მთელმა ქვეყანამ.

— პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ახსენებდა, მსგავსი რამ ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს არ ხდებოდაო. ანუ წინა ხელისუფლების დროს რომელიმე პოლიტიკური პარტიის გენერალური მდივანი არ დაგვიპატიმრებიაო.

— რატომ უნდა დაეჭირათ ან რის საფუძველზე, შეთითხნილი და ფალსიფიცირებული ვიდეობრალდებების საფუძველზე? ამიტომ ვამბობ, როდესაც ხდება პოლიტიკაში ჩართული ადამიანის დაპატიმრება, ეს უნდა იყოს ძალიან მყარი არგუმენტებით დასაბუთებული. მტკიცე სამხილები უნდა არსებობდეს, რათა დაპატიმრებას პოლიტიკური სარჩული არ ჰქონდეს. როგორ ფიქრობთ, მერაბიშვილის წინააღმდეგ პროკურატურას კონკრეტული მტკიცებულებები არ ექნება?! სწორედ ეს სამხილები იქნება იმის გარანტი, რომ ნაცმოძრაობის გენერალური მდივნის და ყოფილი პრემიერის დაპატიმრებას პოლიტიკური სარჩული ვერ დაედება. ნაციონალებსაც რომ დაეპატიმრებინათ რომელიმე ოპოზიციური პარტიის გენმდივანი, უცხოელები ასევე მოითხოვდნენ საქმის წმინდა სამართლებრივ ჩარჩოებში განხილვას.

— 17 მაისს რუსთაველზე საპროტესტოდ გამოსული ადამიანების მცირე ჯგუფის გააქტიურებას გიგა ბოკერიას და გივი თარგამაძის ინტერესებს მიაწერენ?

— რა თქმა უნდა, ჩვენი ცნობილი „ჩეგევარა“ გივი თარგამაძე ჩამოვიდა თუ არა, მაშინვე პროვოკაციები დაიწყო.

— ბევრი აზრი გამოითქვა 17 მაისის აქციასთან დაკავშირებით. ის რაც ყველამ ვნახეთ და აგრესია აქციაზე, შეურყევს იმიჯს ხელისუფლებას დასავლეთში? ნაციონალებმა ისიც თქვეს, მერაბიშვილის და ჭიაბერაშვილის დაპატიმრებით 17 მაისის გადაფარვა უნდოდათო.

— დარწმუნებული ვარ, რომ მერაბიშვილის და ჭიაბერაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება ქვეყანას იმიჯს არ შეულახავს. პირიქით, როცა ადამიანი მხილებულია დანაშაულში, მის წინააღმდეგ მტკიცებულებები არსებობს და მაინც არ დაკავებ, იმიტომ, რომ ვთქვათ, არის პოლიტიკური მოღვაწე ან ელჩი, სწორედ ეს არის ქვეყნისთვის იმიჯის შელახვა. რაც შეეხება 17 მაისის აქციას, ეს იყო პროვოკაცია, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ დაგეგმა და შეასრულა. თუმცა მათი მიზანი კიდევ უფრო სხვა იყო, რასაც ვერ მიაღწიეს. პოლიციამ მართლა ივაჟკაცა, როცა ხალხის უზარმაზარი რაოდენობა შეაჩერა და „ლგბტ“ აქციის მონაწილეებს საშუალება მისცეს ტერიტორია დაეტოვებინათ. მადლობა ღმერთს, მსხვერპლი არ იყო და სისხლი არ დაიღვარა.

ვაჟა ოთარაშვილი: „ერთსქესიანთა ქორწინებას არც ერთი რელიგია არ იწონებს“

ქრისტიანული ღირებულებების წინააღმდეგ ნებისმიერი გამოსვლა საქართველოსთვის არის დამღუპველი

შორენა კოწოწაშვილი

მწერალი ვაჟა ოთარაშვილი გმობს 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით ორი ბერის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ფაქტს და იმ პრობლემის მოგვარებას, რის გამოც რუსთაველზე 100 ათასი ადამიანი გამოვიდა. ოთარაშვილის თქმით, ქართველმა ხალხმა რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყვტოს, საქართველოში დაიშვება თუ არა ერთსქესიანთა ქორწინება. უნდა აგონ თუ არა პასუხი 17 მაისის აქციის გამო აქციის ორგანიზატორებმა ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს მწერალ ვაჟა ოთარაშვილთან.

— პატონო ვაჟა, ფაქტია, 17 მაისის აქციას ეკლესიაზე სერიოზული დარტყმა მოჰყვა. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით და რა მიზნებს ემსახურებოდა ეს აქცია?

— 17 მაისის მოვლენები მიმართული იყო საქართველოს, როგორც ქრისტიანული მართლმადიდებლური სახელმწიფოს და მისი სულიერი ხერხემლის — ქართული მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის წინააღმდეგდ. ქართული სახელმწიფო დაფუძნებულია მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ღირებულებებზე. მე მაქვს ერთი კითხვა — როდის იყო საქართველო ყველაზე ძლიერი. ეს იყო დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის ეპოქა. ორივე მათგანი წმინდანებად არიან შერაცხული და ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. ღრმად მწამს, რომ საქართველო ვერც მომავალში ვერ განვითარდება ქრიუსტიანული ღირებულებების გარეშე. ქრისტიანული ღირებულებების წინააღმდეგ ნებისმიერი გამოსვლა საქართველოსთვის არის დამღუპველი. ძალიან მიკვირს, რომ ჩვენ არ ვუკეთებთ იზოლაციას იმ ხალხს, ვინც პროვოკაცია მოაწყო 17 მაისს. საქართველოს კონსტიტუციაში პირდაპირ წერია, რომ აკრძალულია ისეთი საზოგადოებრივი გაერთიანებები და შეკრებები, რომლებიც აღვივებენ სოციალურ, რელიგიურ და ეთნიკურ შუღლს. ამერიკის და ევროპის საამებლად სასულიერო პირების დაკავებასაც კი აპირებენ. ეს დიდი შეცდომაა. არ მინდა 15-20 წელი გავიდეს და ,,ქართულ ოცნებაზეც“ გადაიღონ ანალოგიური სპექტაკლი, როგორც დადგეს ,,ჯინსების თაობა“, თვითმფრინავის ბიჭების საქმეზე. გახსოვთ, მაშინ სასულიერო პირებიც დასაჯეს სიკვდილით. ეს ქვეყანას ძალიან ცუდად უბრუნდება.

— თქვენი აზრით, ეკლესია და სახელმწიფო სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას?

— ეს სერიოზული გამოწვევა კი არა, არამედ სერიოზული პროვოკაციაა მართლმადიდებლობის, ჩვენი ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ.

— სამოქალაქო სექტორის ერთი ნაწილი ამ აქციასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევაზე აპელირებს და სასულიერო პირების დასჯას ითხოვს. მათი მტკიცებით, ეკლესიის მხრიდან ძალის დემონსტრირებას ჰქონდა ადგილი.

— არც ერთი რელიგია არ იწონებს კაცის კაცთან დაწოლას და ქალის ქალთან დაწოლას. ეს არის უდიდესი ცოდვა. როგორც ჩვენი ბრძენი მამები ამბობენ, ეს არის სულის არაბუნებრივი მოძრაობა სხეულში, რაც სულის გმობას ნიშნავს. ეს არის სოდომის და გომორის ცოდვა, რომელიც მეშინია, რომ ბუმერანგივით არ დაუბრუნდეს ჩვენს ქვეყანას. ამ ცოდვამ დაანგრია დიდი ბიზანტიის იმპერია, სომხეთიც, რომელიც აღნიშნულია რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაში. ეს არის უდიდესი ცოდვა, რომელიც თავისი სიმძიმით მეორე ადგილზე დგას, პირველ ადგილზეა, როცა ადამიანი ცხოველთან ცხოვრობს. 25-წლიანი სინანული არ ყოფნის ამ ცოდვის მონანიებას. როდესაც ჩვენ ადამიანის უფლებებზე ვლაპარაკობთ, ეს არის ფარატინა ქაღალდი, მოგონილი ჩვეულებრივი ადამიანების მიერ. ბიბლია კი არის მადლცხებული, სულიწმინდის მადლით დაწერილი უდიდესი ქრისტიანული საგალობელი, ამიტომ მათი ერთმანეთთან შედარება არ შეიძლება. მე, მაგალითად, ძალიან მეშინია. ეს ცოდვა თაობებზე გადადის. ჯერ შემოვიდა ტერმინი ავადმყოფობა, მერე უმცირესობა, მათ აღსანიშნავად. მერე დაიწყეს საუბარი ეს არის ადამიანთა მცირე ჯგუფიო. ისინი თავიანთი ცოდვების შენდობას კი არ ითხოვენ, არამედ ამ ცოდვების რეკლამირებას ეწევიან.

— გამოსავალს რაში ხედავთ?

— ამასწინათ გაიუღერა ძალიან საინტერესო ინიციატივამ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის მხრიდან, რომ საქართველოში უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენ მომხრე ვართ, რომ გავუწიოთ რეკლამირება კაცის კაცთან დაწოლას, ქალის ქალთან დაწოლას და საქართველოს მოქალაქეები თანახმანი იქნებიან ერთსქესიანთა ქორწინებისა? ყველამ კარგად ვიცით, ეს ტენდენცია საით მიდის, ამიტომ უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი და დაისვას ორი საკითხი: პირველ, ხართ თუ არა მომხრე მამაკაცების ქორწინების; მეორე — ქალების ქორწინების. საინტერესოა, რას უპასუხებენ საქართველოს მოქალაქეები. დარწმუნებული ვარ, 99,99% წინაღმდეგი იქნება.

— როგორ ფიქრობთ, რატომ არ გაითვალისწინა დედაქალაქის ხელმძღვანელობამ პატრიარქის მიმართვა, რომ ლგბტ მომხრეებს აქცია არ ჩაეტარებინათ რუსთაველზე?

— ჩემი აზრით, ამ აქციის კვალი მიდის ბოკერია-ჩერგოლეიშვილის და გიგი უგულავას კლანთან. ისინი მთელი ცხრა წლის განმავლობაში იყვნენ მთავარი ტორპედოები ქართული ეკლესიის რბევისა და აწიოკებისა. ყოველი დიდი აქციების დროს, ეს იქნებოდა 7 ნოემბერი, თუ 3-თვიანი აქციები, გავრცელდებოდა ხოლმე ინფორმაცია, რომ პატრიარქს მიეჭრა გიგი უგულავა, რომ ის უდიერად მიმართავდა. ამიტომ ვამბობ, ის მღვდლები კი არ უნდა დაისაჯონ, არამედ აქციის ორგანიზატორები. მე ძალიან შემაშფოთა და შემაძრწუნა იმ მოთხოვნამ, რომ ორ სასულიერო პირზე აღეძრათ სისხლის სამართლის საქმე. 1924 წელს ამას აკეთებდა და კამპანია დაიწყეს მღვდლების წინააღმდეგ ბოლშევიკებმა. თუ სასულიერო პირი დასასჯელია, ამ საკითხს საპატრიარქო მიხედავს. იმის გამო, რომ მღვდელი ტაბურეტით დადიოდა, სიხლის სამართლის საქმე არ უნდა აღიძრას. ეს მოთხოვნა დგება მაშინ, როცა ამ აქციის უკან მდგომები და პროვოკატორები მთელი 9 წლის განმავლობაში ქართველ ხალხს აწამებდნენ და აუბედურებდნენ და დღესაც თავისუფლად დადიან. აქ ვგულისხმობ გიგი უგულავას, გიგა ბოკერიას და ა.შ. რომელი ერთი ჩამოგითვალოთ. თქვენ როგორ გგონიათ, ამაზე პასუხი არ უნდა აგოს სააკაშვილმა, ადეიშვილმა, შაშკინმა? ეს ხალხი დღესაც მაღალ თანამდებობებზე არიან, უწყებებში მუშაობენ და თავს ბედნიერად გრძნობენ, ხოლო ვისაც აწამებდნენ და გააუბედურეს, დღესაც უყველაფროდ დარჩენილები არიან. ჩვენ კი გვინდა იმ ორ მღვდელზე გადავტეხოთ ჯოხი და მაშინ ვიქნებით დემოკრატები?

— ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ჯგუფმა მოითხოვა ამ პრობლემის კანონის ფარგლებში მოგვარება. პარლამენტმა უნდა მიიღოს სექსუალურ უმცირესობებისთვის კანონი?

— სახარება ამბობს, რომ ეს არის ცოდვა. სახარება კი ყველა კონსტიტუციაზე მეტია. კონსტიტუციები მზესუმზირასავით იცვლება, ნებისმიერი ახალი მთავრობა ახალი საკონსტიტუციო ცვლილებებით თავს იწონებს. ქვეყანა კი ისევ უფლის კანონით მიდის. ნუ შევეწინააღმდეგებით უფალს, ეს შეიძლება საქართველოს ძალიან ცუდად დაუბრუნდეს.

„ტრავერტინების ველის“ დაზიანების თაობაზე რეგიონული განვითარების სამინისტრომ განცხადება გაავრცელა

რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, გუდაური-კობის გზაზე, „ტრავერტინებული ველის“ დაზიანების თაობაზე განცხადება გაავრცელა. „ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, გუდაური-კობის საგზაო მონაკვეთზე მიმდინარე გვირაბის შეკეთების გამო, დაზიანდა ე.წ „ტრავერტინების ველი“. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საავტომობილო გზების დეპარტამენტთან ერთად აღნიშნული ფაქტის გამომწვევი მიზეზების დადგენის საქმეში ჩართულია და იკვლევს, თუ რამ განაპირობა კონტრაქტორი სამშენებლო კომპანიის მიერ ალტერნატიული გზის გაყვანა“— ნათქვამია განცხადებაში. დაზიანების ადგილზე სანახავად და რეაგირებისთვის, ადგილზე, გარემოს დაცვის სამინისტროს ჯგუფიც გაემგზავრა.

ნიუსპრესი

ბრიუსელში მერაბიშვილის მხარდამჭერი რეზოლუცია ჩავარდა

ბრიუსელში ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეამ მუშაობა დაასრულა. ევრონესტის შეკრების პირველსავე გუშინ, პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე, ვერ გავიდა ჩანაწერები, რომელსაც მხარს ევროპის სახალხო პარტია და საქართველოს ნაციონალური მოძრაობა უჭერდა.

პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, აღნიშნულის შემდეგ ევროპის სახალხო პარტიამ რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურა გამოიყენა და 28 მაისის პლენარულ სხდომაზე გასატანად, წინა დღეს, პოლიტიკური კომიტეტის რეზოლუციის ტექსტში საგანგებო ცვლილება შეიტანა. ცვლილება საქართველოს ყოფილი პრემიერ მინისტრის ვანო მერაბიშვილის დაკავებას და საქართველოში შერჩევით სამართალს ეხებოდა.

გუშინწინ კი, ევროპის სახალხო პარტიამ მხარდასაჭერად, საგანგებო რეზოლუცია შერჩევით სამართალთან დაკავშირებით, უკვე ბიუროს სხდომაზე გამოიტანა, რამაც მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. ხოლო სესიაზე, ჩავარდა პოლიტიკური რეზოლუციის ტექსტში ჩანაწერი ვანო მერაბიშვილსა და შერჩევით სამართალზე საქართველოში. აღნიშნულს ხელმოწერებით, მხარი ორმა ფრაქციამ დაუჭირა – ალდემ და სოციალისტებმა. მხარი დაუჭირა ასევე სამმა ეროვნულმა დელეგაციამ საქართველოდან, აზერბაიჯანიდან და უკრაინიდან.

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარისა და ევრონესტის საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელის ვიქტორ დოლიძის განცხადებით, ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეამ აღნიშნული გადაწყვეტილებებით ხაზი გაუსვა, რომ ისინი მხარს არ უჭერენ იმ პათოსს, თითქოს საქართველოში შერჩევითი სამართლის რეჟიმს აქვს ადგილი.

ნიუსპრესი

ვაკეში ბიზნესმენ თამაზ ნიჟარაძის მეუღლის მანქანა აფეთქდა

გუშინ, გამთენიისას, 4:00 საათზე, მრგვალ ბაღთან აფეთქება მოხდა. აფეთქდა ბიზნესმენ თამაზ ნიჟარაძის მეუღლის კუთვნილი ჯიპი. როგორც ნიჟარაძეები აცხადებენ, მომხდარი უბრალო შემთხვევითობა არ ყოფილა.

მათი ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების ყოფნის პერიოდში, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, ფინანსური პოლიციის ყოფილმა შეფმა დავით კეზერაშვილმა სხვა მრავალი ბიზნესმენის მსგავსად, ქართველ ბიზნესმენ თამაზ ნიჟარაძეს უკანონოდ წაართვა ბიზნესი და 50 მილიონამდე ღირებულების ქონება. ნიჟარაძემ სამართლებრივი დავის საფუძველზე, სასამართლოს გზით მოახერხა,რომ დავით კეზერაშვილს და დავით იაკობაშვილს აღნიშნულ ქონებაზე (მათ შორის ფოთის პორტი და სხვა მსხვილი ობიექტები), საკუთრების უფლება დროებით შეუჩერდათ.

როგორც ნიჟარაძეების ოჯახი აცხადებს, რამდენიმე დღის წინ, ფინანსური პოლიციის ყოფილი შეფის მხრიდან, თამაზ ნიჟარაძის ოჯახის წევრების, მისი ლონდონში მცხოვრებ სტუდენტი შვილის მისამართით განხორციელდა სატელეფონო მუქარა,მათ შორის სიცოცხლის ხელყოფით. ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების წარმომადგენლების დანაშაულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, შს სამინისტროს განცხადებით მიმართა. წუხელ, გამთენიისას კი,თამაზ ნიჟარაძეს საცხოვრებელი სახლის წინ ავტომობილი დაუწვეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დღეს შემთხვევის ადგილზე ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე აფეთქებულ ავტომობილთან, საგანგებო ბრიფინგს გამართავს და მედიის წარმომადგენლებს დავით კეზერაშვილის და დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრების საქმიანობის შესახებ, დამატებით მნიშვნელოვან ინფორმაციას მიაწვდის – ნათქვამია ოჯახის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ნიუსპრესი

ნონა გაფრინდაშვილი: „ვინც სისხლშია გასვრილი, ყველა უნდა დაისაჯოს!“

ნონა ცაბაძე

საქართველოს უახლეს ისტორიაში არ გვქონია ისეთი სისასტიკით გამორჩეული დღე, როგორიც 2011 წლის 26 მაისი იყო, აცხადებს სახალხო კრების ლიდერი ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც ამ პროცესების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო და 26 მაისის ღამეს რუსთაველის გამზირზე იმყოფებოდა. როგორც უკვე ცნობილია, 26 მაისთან დაკავშირებით ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს, ვანო მერაბიშვილს ბრალი დაუმძიმდა. როგორც გამოძიებით დადგინდა, სწორედ ის იყო იმ სისხლიანი ღამის შემოქმედი და ორგანიზატორი.

ქალბატონი ნონა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აღნიშნულ საკითხს აფასებს:

– ქალბატონო ნონა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ ვანო მერაბიშვილს 26 მაისთან დაკავშირებით ბრალი დაუმძიმდა. თქვენ იმ აქციების აქტიური მონაწილე ბრძანდებით. საინტერესოა საზოგადოებისთვის თქვენი შეფასებები. რამდენად დაიწყო სამართლიანობის აღდგენა ქვეყანაში?

– ვანო მერაბიშვილი რადგან დაკავებულია და ნელ-ნელა ძმიდდება მის გარშემო სიტუაცია, ეს იმის მაჩვენებელია, რომ დაიწყო ეს პროცესი. არადა, თუ სამართლიანობა არ აღდგა, ვერავითარ შემთხვევაში საქართველოში ნამდვილი დემოკრატია ვერ ჩამოყალიბდება. ჩემთვის რა არის იცით გასაოცარი, ყოფილი პარლამენტარები, ნაციონალური მოძრაობის წევრები გამოდიან და ჩვენ რუსეთის აგენტებს, ქვეყნის მტრებს გვინოდებენ და რუსულ კვალზე საუბრობენ. გამაგებინეთ ერთი, სად ჩანდა რუსული კვალი?! რომელ რუსულ კვალზე შეიძლება ლაპარაკი, სანთლებით ხელში ვიდექით და კონცერტისთვის ვემზადებოდით. პირველის 15 წუთზე რომ წამოვიდნენ მთელი იერიშით და გასაქცევი არ დაგვიტოვეს. ადამიანი თუ დამნაშავეა, ხომ უნდა დაისაჯოს? თუ ჩვენ გადატრიალებას ვგეგმავდით, მაშინ რატომ ვართ გარეთ? ანდა როგორ უნდა მოგვეხდინა ეს გადატრიალება? ერთი რუსი მაინც ნახეს სადმე? რუსული ტანკი ნახეს თუ რა ნახეს?! არაფერი ჰქონდათ ხელში, ეს ყველაფერი ცარიელი სიტყვები იყო. მე მაკვირვებს დღეს მათი ცინიზმი. კიდევ უფრო ამწარებენ ხალხს და კიდევ უფრო აღიზიანებენ. ამდენი დანაშაული ჩაიდინეს და იმის მაგივრად, რომ შეცდომა აღიარონ, ან ბოდიში მოიხადონ, ამის მაგივრად აქეთ შეტევაზე გადმოდიან და იძახიან იმას, რაც საერთოდ არ არსებობდა. ახლა მეორე კუთხით შევხედოთ ამ საქმეს, დავუშვათ ჩვენ არასწორად გვეკავა ის ადგილი და არ ვთმობდით იმ ადგილს, ამისთვის არსებობს ერთი გზა, იგივე წყლის ჭავლი, თუნდაც ცრემლსადენი გაზიც ეხმარათ, ოღონდ ამ შემთხვევაში გასაქცევი გზა უნდა დაუტოვო აქციის მონაწილეებს. იქ კი რა მოხდა? ტყვიების წვიმა წამოვიდა, ძირს დაგდებულ ხალხს პირდაპირ ტყვიებს უმიზნებდნენ. იგივე ასავალ-დასავალის ჟურნალისტებს რაც გაუკეთეს, როგორც ვიცი, დღესაც მკურნალობს გიორგი მამაცაშვილი. ეს რა იყო იცით?! ეს იყო ყველაზე საშინელი რამ, რაც კი მომხდარა ჩვენს უახლეს ისტორიაში. აი, 9 აპრილს მსგავსი რამ არ მომხდარა. მე ვუყურებდი გუშინ და ძალიან კარგად უჩვენა პროკურატურამ, როგორ იყო დაკეტილი მთლიანი ტერიტორია, რომ ხალხი ვერსაიდან გაქცეულიყო. ხალხი გარღვევას ცდილობდა, ერთმანეთს ეჯახებოდნენ, არ ინდობდნენ ძირს დავარდნილებს, სასტიკად ურტყამდნენ. გაცილებით მეტია გარდაცვლილი, რამდენი დასახიჩრებული და რამდენმა კიდევ ფსიქოლოგიური სტრესი მიიღო და დღემდე ვერ გამოსულა ამ მდგომარეობიდან. აჯობებს, რომ ნაციონალები გაჩუმდნენ და საერთოდ არ მივიდნენ ტრიბუნასთან. ამიტომაც არის, რომ არ უნდა მოხდეს იმათი გარეთ დატოვება, ვისაც ბრალი მიუძღვის, ეს ყოველთვის იქნება ხელისშემშლელი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის დროს.

– ქალბატონო ნონა, კიდევ ბევრს მოუწევს ვანო მერაბიშვილის გვერდით დაჯდომა? სხვების დანაშაულიც გამოიკვეთება?

– ყველა ძალოვანი სტრუქტურა იყო ჩართული ამ პროცესში. რა თქმა უნდა, პრეზიდენტმა გასცა ბრძანება, პრეზიდენტის გარეშე ვერც ვანო მერაბიშვილი გასცემდა ამ ბრძანებას და ვერც ვერავინ. თუმცა იქ იყო ერთი დიდი ჯგუფი, ყველა ძალოვანი უწყების ხელმძღვანელი, ქალაქის მერი. ჩვენ ხომ ვიცით, ჩვეულებრივ, გადაწყვეტილებას ვინ და როგორ იღებდა, მაგრამ ეს არ იყო ჩვეულებრივი გადაწყვეტილება, ვინ რა დოზით მონაწილეობდა ამ გადაწყვეტილების მიღებაში, არ ვიცი, მაგრამ ბრალი ყველას ერთნაირად მიუძღვის. დღეს კონკრეტულად მერაბიშვილს აქვს ბრალი წაყენებული, მაგრამ დანარჩენების დროც მალე დადგება. ერთი კაციც არ გამოჩნდა ისეთი, რომელსაც გამბედაობა ეყოფოდა, გამოვიდოდა და ქართველი ხალხის წინაშე ბოდიშს მოიხდიდა, აქეთ მაღალ „გონორზე“ არიან.

– იუსტიციის მინისტრიც მონაწილეობდა ამ ყველაფერში?

– ყველა ძალოვანი. თვითონ ის ფაქტი, რომ იუსტიციის მინისტრი პირველი ოქტომბრის შემდეგ გაქცეულია, ეს ბევრ რამეზე მეტყველებს, რაღად უნდა გამოძიება, მარტო ის კმარა დანაშაულად, რომ ამხელა უწყება, მნიშვნელოვანი პოსტი უპატრონოდ მიატოვა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. უდანაშაულო რომ იყოს და სუფთა რომ იყოს, სადმე გაიქცეოდა?!

– დღეს ჩვენ ვისმენთ ნაციონალების ბრტყელ-ბრტყელ განცხადებებს – პოლიტპატიმარია ვანო მერაბიშვილიო...

– გადამრევს ეს ხალხი... რომელი პოლიტპატიმარი ვანო მერაბიშვილია. რამდენი ადამიანი ჰყავთ ჩახოცილი სასამართლოს გარეშე, ქუჩაში. რამდენს ბიზნესი წაართვეს, გაანადგურეს ყველაფერი, რისი განადგურებაც შეიძლებოდა. ის რეფორმები, რაც გაატარეს, ყველაფერი ადამიანის გადაგვარებისკენ იყო მიმართული. გენოციდი მოუწყვეს საკუთარ ხალხს. რომელ პოლიტიკურ პატიმარზე მელაპარაკებიან?! პოლიტპატიმრები გვყავდა ჩვენ. როგორ იჭერდნენ იცით? სახლში მიმავალს, მანქანა გაჩერდებოდა, გადმოხტებოდნენ, გაკოჭავდნენ, წაიყვანდნენ და რომ ვერაფერს უყენებდნენ, რადგან კონსტიტუცია იძლევა იმის უფლებას, რომ შენ გამოხვიდე და მშვიდობიან მანიფესტაციაში მიიღო მონაწილეობა, თუ არ ეთანხმები მთავრობის კურსს. ეს არის ჩვეულებრივი საკონსტიტუციო უფლება. ამას ხომ ვერ წაუყენებდნენ ბრალად და ბრალდებებად იყო ცრუ მოწმის დახმარებით, რომ ვითომდა წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას. სახლში მიმავალმა ადამიანმა, როგორ უნდა გაუწიოს წინააღმდეგობა, რომელიც ხან კორპუსთან აჰყავდათ და ხან ქუჩაში, ყოველგვარი ახსნა-განმარტებების გარეშე უდანაშაულო ხალხი! ასეთ უდანაშაულოებს იჭერდნენ და სისხლის სამართალზე გაჰყავდათ, 4-დან 10 წლამდე, ზოგიერთი 12 წლიანიც კი იყო და რისთვის? იმისთვის, რომ განსხვავებული აზრი ჰქონდათ.

– ქალბატონო ნონა, 26 მაისის აქციაზე ოფიციალური მონაცემებით ხუთი ადამიანი დაიღუპა, ამაზე ვინ უნდა აგოს პასუხი?

– ჰოდა, საქმეც ეგაა. მე ვახსენე, რომ იქ იყო მსხვერპლი და გაცილებით დიდი, ვიდრე ეს ითქვა. არსებობს ვიდეო მასალები და არსებობენ ცოცხალი ადამიანები, რომლებიც უკვე აძლევენ ჩვენებებს ამ ყველაფერთან დაკავშირებით. მოწმეები მაშინაც ბევრი იყო, უბრალოდ, შეაშინეს და გააჩუმეს. თქვენ იცით, რომ როდესაც პრეზიდენტი მოდის, ახლო-მახლო სახლებს ამოწმებენ და ყველგან სნაიპერი ჯდება. ესე იგი სნაიპერი ავიდა ზევით და იქ ვერ ნახა ადამიანი?! მე მგონი, ეს ყველაფერი მალე გაირკვევა, ის ვინც აქამდე გაჩუმებული იყო და ჩვენებას არ იძლეოდა, უკვე დაიწყებენ ჩვენების მიცემას. ამათი პრაქტიკა იყო, ერთი შვილი თუ გარდაცვლილი ჰყავდა ოჯახს, მეორე შვილით ემუქრებოდნენ, ერთი თუ ციხეში ჰყავდა, მეორის დაჭერით ემუქრებოდნენ. აბსოლუტურად ყველაფერი ძალადობასა და მუქარაზე იყო აგებული. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ისტორიაში მსგავსი რამ აღარასოდეს გამეორდება. ეს იყო შავი დღე. დღეს ყველაზე მეტად ჩემზე მოქმედებს ამათი უნამუსობა, კიდევ რომ ბედავენ, გამოდიან და ხმამაღალ განცხადებებს აკეთებენ.

– რამდენად გაქვს იმედი ახალი ხელისუფლების, რომ ყველა დამნაშავე სამაგალითოდ დაისჯება?

– მაქვს იმედი, იმიტომ, რომ სხვანაირად არ შეიძლება. ვერ ავაშენებთ ჩვენ ნორმალურ ქვეყანას, თუ არ დაისჯებიან ისინი, ვინც სისხლშია გასვრილი და შემდეგ ისინი, ვინც სხვისი ქონებები მიიტაცა. რა ქნან იმ ადამიანებმა, ვისაც ყველაფერი წაართვეს? ამიტომ ვალდებულია ხელისუფლება, რომ დაბრუნებინონ ეს ყველაფერი.

– ქალბატონო ნონა, ასევე მეორე საკითხსაც მინდა რომ შევეხო, რომელიც საკმაოდ აქტუალურია. ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები, როგორც ცნობილია, სახალხო კრებამ ნინო ბურჯანაძის კანდიდატურა დაასახელა. როგორ ფიქრობთ, აქვს შანსები ოპოზიციურ კანდიდატს?

– იცით რაშია საქმე, აქამდე მხოლოდ ბატონი ბიძინას ავტორიტეტით ხდებოდა სახელისუფლო კანდიდატების გამარჯვება, ასეა და მოდით, ვიყოთ სამართლიანები. რა თქმა უნდა, ბატონმა ბიძინამ ვინც დაასახელა, მას ექნება სერიოზული შანსი, მე ამ ადამიანს ნამდვილად პატივს ვცემ, მაგრამ საჭიროა, რომ იყოს კონკურენცია. ქალბატონ ნინოს, ჩემის აზრით, აქვს გამარჯვების შანსი. ჩვენ მთელი ეს წლები ერთად ვიყავით და მე მას კარგად ვიცნობ. დღეს სხვა სიტუაციაა, პრემიერი იქნება ქვეყანაში პირველი ადამიანი, პრეზიდენტს თავისი უფლებები ექნება და მე მგონია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი აქ იქნება საერთაშორისო ურთიერთობები და ამ კუთხით დღეს ვერ ვხედავ ვერც ერთ პოლიტიკოსს, მით უმეტეს, დასახელებულ კანდიდატებს შორის, რომელსაც მსგავსი გამოცდილება და მსგავსი ურთიერთობები შეიძლება ჰქონდეს. გარდა ამისა, ქალბატონი ნინო არის ძალიან გაწონასწორებული ადამიანი და მე მგონია, რომ სიტუაცია ხელისუფლებასთან მიმართებაში იქნება დაბალანსებული. ამიტომ ჩვენ ჩავთვალეთ საჭიროდ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე წავიდეს კონკურენცია და ამიტომ დავასახელეთ.

– იმ შემთხვევაში თუ სალომე ზურაბიშვილმაც გადაწყვიტა არჩევნებში მონაწილეობა, მაშინ როგორი იქნება შანსები?

– სალომე ზურაბიშვილს, პრინციპში, არა აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მას სამი წელია არ უცხოვრია საქართველოში. მიკვირს, რატომ არავინ არ აქცევს ამას ყურადღებას. გეუბნებით, რომ ბატონი ბიძინას მიერ დასახელებული კანდიდატის მეტი, ქალბატონ ნინოს კონკურენციას ვერავინ გაუწევს. თუ ჩემს აზრს მეკითხებით, აი ასეთია ჩემი აზრი. ძალიან საინტერესო პროცესი იქნება. რაც უფრო კარგი კონკურენტები იქნებიან, კიდევ უკეთესი. დარწმუნებული ვარ, ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდება და მომავალში ჩატარდება მართლაცდა დემოკრატიული არჩევნები. ის რაც აქამდე ხდებოდა, ეს არ იყო დემოკრატიული არჩევნები. ესენი რომ გაიძახიან – დემოკრატიულად გადავაბარეთო, რა გადააბარეს? ხომ იცით, რაც ხდებოდა, ხომ იცით, რამდენი ხმა მიიტაცეს. ამიტომაც მოხვდნენ პარლამენტში ასეთი რაოდენობით, თორემ, აბა, ჩატარებულიყო დემოკრატიული არჩევნები და ვნახავდით, რამდენ ხმას აიღებდა ნაციონალური მოძრაობა. მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ეს პროცესები ნელ-ნელა დალაგდება და მე მაქვს პირადად იმის რწმენა, რომ არჩევნები ჩაივლის ძალოვანი უწყებებისა და ზენოლის გარეშე. როდესაც ეს დამკვიდრდება, ეს პროცესი პირველ რიგში სახელმწიფოსთვის იქნება კარგი. ნაღდი პარლამენტი უნდა შეიკრიბოს, ისეთი, რომელსაც მართლა ხალხი მისცემს ხმას. მე მჯერა, რომ ეს დრო მალე დადგება. აი ამის მერე იქნება დემოკრატია ქვეყანაში, თუმცა ამას წინ უნდა უძღვოდეს სამართლიანობის აღდგენა.

„ნაციონალებმა „მიქშერს“ დაუწიეთ და ყელყელაობას თავი დაანებეთ!“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ვილი, თქვენ დაიწყეთ ტოტალური დევნა ოპოზიციის, ყველაფერი ამის გადაფარვისთვის თქვენ დაიკავეთ 6 პოლიციელი, რომელიც სწორედ იმ კრიმინალს ებრძოდა, რომელიც დღეს გამეფებულია თბილისის ქუჩებში, – აღნიშნა ვაშაძემ.

ნაციონალების გამოსვლამ მეოცნებეები აღაშფოთა. თავისი აღშფოთება ზესტაფონის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოგი ქავთარაძემ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას გამოხატა. მისი აზრით ნაციონალებმა უაზროდ ყელყელაობას თავი უნდა დაანებონ.

– როდესაც ვხვდები ამომრჩეველს, ისინი სვამენ ასეთ შეკითხვას: რატომ აძლევთ ამდენის უფლებას უმცირესობას. ამაზე ვპასუხობ, რომ ეს არის დემოკრატია და ისინი ამბობენ, რომ ეს არ არის დემოკრატია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, ისე წარვმართოთ ეს ურთიერთობა, რომ ხანდახან „მიქშერს“ უნდა დაუწიონ. თქვენგან ცოტა უხერხულია. ჩემი რჩევა იქნება, ცოტათი მართლაც დაუწიოთ იმ „მიქშერს“ და ასე ყელყელაობით ნუ გამოდიხართ, ჩვენ ყველაფერი ძალიან კარგად ვიცით და ისე ნუ მოიქცევით, თითქოს ციდან ჩამოფრინდით, – განაცხადა ქავთარაძემ.

გუშინდელ სხდომაზე გარემოს დაცვის ყოფილმა მინისტრმა გოგა ხაჩიძემაც გაიბრწყინა. მან მწვანეთა პარტიის ლიდერს, გია გაჩეჩილაძეს მოუწოდა ფერი შეინარჩუნოს.

ხაჩიძემ სხდომაზე გუდაური-კობის საგზაო მონაკვეზე „ტრავერტინების ველზე“ გაყვანილი გზის ამსახველი სურათი წარადგინა.

– იქნებ, ამ საკითხზე გარემოს დაცვის სამინისტრომ პასუხი გაგვცეს, რადგან ეს ბუნების ძეგლია და არა ხე, რომელიც შეიძლება დარგო. ბატონო გია, „ქართული ოცნების“ მწვავე სინდისი ხართ და იქნებ, ფერი შეინარჩუნოთ, რადგან დარბაზში უფეროდ გამოიყურებით, – მიმართა გაჩეჩილაძეს ხაჩიძემ.

ისე გაჩეჩილაძესთან მიმართებაში ხაჩიძე მართალია. თუმცა კარგი იქნებოდა თავისი მინისტრობის პერიოდიც გაიხსენოს. სწორედ მან გასცა დარიალის ხეობაში ჰესების მშენებლობაზე ნებართვა.

თამბაქოზე აქციზი პერიოდულად გაიზრდება

მერი ნამორაძე

ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, თამბაქოს მოხმარების შემცირებაზე სერიოზული ენერგია დახარჯოს. რამდენად წარმატებული იქნება ეს მცდელობა იმ საზოგადოებაში, სადაც ოჯახთა უმრავლესობაში დიდიან-პატარიანად ყველა მწეველია და ღიმილს ჰგვრით თამბაქოს გარეშე ცხოვრება, ძნელი სათქმელია. 31 მაისს, მსოფლიო დღეს თამბაქოს გარეშე, განსაკუთრებულად გამახვილდება ყურადღება ამ პრობლემაზე.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტებს თუ დავუჯერებთ, თამბაქოს მოხმარება სიკვდილის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია, რომლის პრევენცია შესაძლებელია. ამჟამად თამბაქოს მოხმარება ათიდან ერთი ზრდასრული ადამიანის გარდაცვალების მიზეზს წარმოადგენს. ყოველწლიურად მსოფლიოში თამბაქოს მოხმარების ეპიდემია იწვევს 6 მილიონი ადამიანის სიკვდილს, მათგან 600.000 ადამიანი პასიური მწეველია და თამბაქოს მეორადი კვამლის ზემოქმედების შედეგად იღუპება. თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის თანახმად, ამ შეთანხმების ყველა მონაწილე მხარემ უნდა უზრუნველყოს თამბაქოს რეკლამის, პოპულარიზაციისა და სპონსორობის სრული აკრძალვა. სტატისტიკა მოწმობს, რომ იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ხარჯთეფექტურ საშუალებას თამბაქოზე მოთხოვნის შესამცირებლად.

საქართველოში თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების გაუმჯობესების მიზნით და თამბაქოსთან ბრძოლის ფართომასშტაბიანი მოძრაობის დასაწყებად უკვე შექმნილია

თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგია და გაწერილია კიდეც 2018 წლამდე სამუშაო გეგმა. მომზადებულია სხვადასხვა კანონპროექტებში შესატანი ცვლილებები, რომლებიც უახლოეს პერიოდში გავა სამთავრობო სხდომაზე განსახილველად. ხელისუფლება გეგმავს საგადასახადო კანონმდებლობაში შესწორების შეტანას, რომელიც თამბაქოს ნაწარმზე აქციზის პერიოდულ ზრდას ითვალისწინებს და განსაზღვრავს მის პარამეტრებს, როგორც ეს მრავალ ქვეყანაშია აპრობირებული. ამან მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს საბიუჯეტო შემოსავლები და ნაკლებად ხელმისაწვდომი გახადოს ნაწარმი ბავშვებისათვის. ამასთან, შედარებით მაღალი საჯარიმო სანქციები დაწესდება და დაჯარიმების პროცედურები გამარტივდება. სავალდებულო სახე უნდა მიიღოს პიქტოგრამების კოლოფზე დატანის უკვე არსებულმა ფაკულტატურმა ნორმამ, რათა სამედიცინო გაფრთხილების ზომა ორივე გვერდზე 80%-მდე გაიზარდოს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების პარალელურად გათვალისწინებულია ცვლილებები რეკლამის შესახებ კანონში, რომლის შესაბამისად აიკრძალება თამბაქოს ნაწარმის ყველა სახის პირდაპირი და არაპირდაპირი რეკლამა, მათ შორის ინტერნეტის საშუალებით. დაწესდება შესაბამისი სანქციები; ხელისუფლება აპირებს ასევე თამბაქოზე დამოკიდებულების და მოხმარების შეწყვეტასთან დაკავშირებული სახელმწიფო პროგრამების ამოქმედებას და სადაზღვევო პროგრამებში შესაბამისი სერვისების განვითარებას, რომლის საშუალებითაც ნებისმიერ მსურველს საშუალება ექნება უფასოდ ან ხელმისაწვდომ ფასებში მიიღოს კვალიფიციური დახმარება – კონსულტაციები, სატელეფონო სერვისები, მედიკამენტები. არასრულწლოვანთათვის სიგარეტის მიყიდვის, უფასოდ დარიგების, ასევე ცალკეული ღერებით გაყიდვის აკრძალვასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გამარტივდება შესაბამისი პროცედურები და გაიზრდება საჯარიმო სანქციები.

2014 წელი თბილისში უსახლკაროთა წლად გამოცხადდება?!

მერი ნამორაძე

2014 წელი თბილისში შესაძლოა უსახლკაროთა წლად გამოცხადდეს. ეს იდეა თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარეს, ზაზა გაბუნიას დაებადა. ინიციატივამ, თუ იგი გაზიარებული და ატაცებული იქნა, ბევრი თავსატეხი უნდა გაუჩინოს თბილისის მერიას, იმდენი უსახლკარო ადამიანი ჰყავს ქალაქს. ინიციატივები და ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად გამოცხადებული წლები ბევრი გვინახავს, მაგრამ შესრულებული – ნაკლებად.

ამის შესახებ ზაზა გაბუნიამ მერიის სოციალური მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელ მამუკა ქაცარავასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

ამავე შეხვედრაზე შეიქმნა კომისია, რომელმაც სოციალურად დაუცველთათვის ბინების გადაცემის შესახებ უნდა იმსჯელოს.

სოციალურად დაუცველთათვის ბინების გაცემის წესი, რომელიც ლოტოტრონით განაწილებას გულისხმობდა, როგორც იქნა, შეიცვალა, თავად დაუცველთა პროტესტის გამო. წელს შვეიცარიის განვითარების საგენტოს მხარდაჭერით 24 სოციალურად დაუცველი მიიღებს სოციალურ საცხოვრისში სახლს. ვინ იქნება ეს 24 ბედნიერი, ჯერ კიდევ გაურკვეველია. ასე რომ, კომისიას უაღრესად დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება, რათა გადაწყვეტილება კეთილსინდისიერად იქნას მიღებული.

სოციალურად დაუცველთაგან ბინების მიღების სურვილს 7000-ზე მეტი ადამიანი გამოთქვამს. ყოველ შემთხვევაში, განცხადება სწორედ 7000-მდე ბენეფიციარს აქვს გაკეთებული. აქედან მერიამ 300 ბენეფიციარი შეარჩია, აქედან კი 46 გამოყო, საიდანაც კომისიამ 24 უნდა გამოარჩიოს. ისინი პროექტით „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“ გათვალისწინებულ ბინებს სარგებლობაში მიიღებენ.

მთავრობამ ეკონომიკური პოლიტიკა უნდა შეცვალოს

თამარ ნინიძე

დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც არასაპარლამენტო პარტიების ნაწილმა კოალიცია ქართული ოცნების შვიდთვიანი მმართველობა შეაჯამა. კონკრეტულად კი ყურადღება გამახვილდა ეკონომიკურ ვითარებაზე ქვეყანაში, რომელიც როგორც „ახალი მემარჯვენეების“, ისე ეროვნულ-დემოკრატების აზრით, უმძიმესია, ქვეყნის ეკონომიკა კრიზისის ზღვარზეა და რეცესიას განიცდის, ასეთი გახლავთ ოპოზიციის ნაწილის შეფასებები.

საინფორმაციო პორტალმა „ივერონმა“ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო მონაცემები გამოამზეურა, ამ მონაცემებით ირკვევა, რომ 2013 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 3006 მლნ დოლარი, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 4%-ით ნაკლებია. ამავე ინფორმაციით, ექსპორტი 785 მლნ დოლარს შეადგენს, რაც 8%-ით მეტია, საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2013 წლის იანვარ-აპრილში 1435 მლნ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 4% შეადგინა.

2013 წლის იანვარ-აპრილში საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 785 მლნ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 13%-ით ნაკლებია. აქედან ექსპორტი 130 მლნ დოლარი იყო, იმპორტი 655 მლნ დოლარი.

ოპოზიციის ნაწილი მიანიშნებს იმაზე, რომ მმართველი კოალიცია ქვეყანაში ქმნის არასტაბილურობის განცდას და ბიზნესს არა აქვს განვითარების რეალური პერსპექტივები. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი ფარული მონოპოლიაა, ასევე სახელმწიფო მოხელეების პირდაპირი ჩარევა ბიზნესის საქმიანობაში. „ახალი მემარჯვენეები“ რამდენიმე წინადადებას სთავაზობდნენ ახალ მთავრობას, მათ შორის ბიზნეს-საქმიანობის დეკრიმინალიზაციას, ეკონომიკური დანაშაულისთვის წინასწარი პატიმრობის მანკიერი პრაქტიკის აკრძალვას; საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის დღეს არსებული 20%-ის შემცირებას 15%-მდე; „საგადასახადო კოდექსში“ მცირე ბიზნესის სტატუსის შემოღებას და გამარტივებული საგადასახადო რეჟიმის დაწესებას ნებისმიერი ბიზნეს-სტრუქტურისთვის და არა მხოლოდ ფიზიკური პირებისთვის, ეს სტატუსი უნდა გავრცელდეს გამარტივებულ საგადასახადო რეჟიმთან ერთად შპს-ებზე და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე; და ასევე მონოპოლიებზე საბოლოოდ უარის თქმა რისი პირველი ნაბიჯი იქნება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის სრულყოფა და „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს“ რეალური ამოქმედება. ეს, სხვათა შორის, ქართული ოცნების ერთ-ერთი საარჩევნო დაპირებაც იყო.

ქართველი ექსპერტების ერთი ნაწილის პროგნოზით 6%-იანი ეკონომიკური ზრდა შეიძლება უახლოეს ხანში ვერ განხორციელდეს, როგორც ამას მთავრობა იმედოვნებს. პრემიერ-მინისტრმა გააკრიტიკა სააკაშვილის მთავრობა და თქვა, რომ ეკონომიკური ზრდა მხოლოდ პოლიციის და იუსტიციის სახლების მშენებლობის ხარჯზე იყო. საინტერესოა ის, რომ მოქმედი ხელისუფლება ორი საინვესტიციო ფონდის დაარსებას აპირებს, რომელიც უცხოელ ინვესტორებს მოიზიდავს, ბიძინა ივანიშვილი პირადი ურთიერთობების გამოყენებასაც არ გამორიცხავს უცხოელი ბიზნესწრეების ჩამოსაყვანად საქართველოში.

დღევანდელი მონაცემები, რაზეც ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ, ქართული ბაზრის მდგომარეობას ეხება, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზრობებზე არაადეკვატური ფასი აქვს სამამულო პროდუქციას, ის გაცილებით ძვირი ღირს, ვიდრე შემოტანილი, მაგალითად, თურქეთიდან. ყოველივე ამას სპეციალისტები იმით ხსნიან, რომ უცხოურ პროდუქციას საბაჟო გადასახადი მცირე აქვს, არადა, ფაქტია, რომ ნატურალური ქართული პროდუქტები სიძვირის გამო რთულად რეალიზდება, თუმცა ეკოლოგიურად გაცილებით სუფთაა, ალბათ მთავრობამ პოლიტიკა უნდა შეცვალოს და ქართული პროდუქციისადმი კარგი გაგებით პროტექციონალისტური პოლიტიკა უნდა გაატაროს, რათა ადგილობრივ წარმოებას სტიმული მიეცეს.

საყურადღებოა, რომ საბაჟოზე ვითარება დამძიმდა, ეკონომიკური ექსპერტების აზრით, აქ კონტროლი უნდა გამკაცრდეს, ის შეცდომები არ უნდა იქნეს დაშვებული, რომელიც იყო შევარდნაძის და სააკაშვილის დროს.

ნინო გიორგობიანი დავით საყვარელიძის განცხადებებს სიცრუეს უწოდებს

პარლამენტის უმცირესობის წევრის დავით საყვარელიძის მიერ გუშინ გაკეთებულ განცხადებასა იმასთან დაკავშირებით, რომ „თენგიზ გუნავას საქმეზე დასჯილი პოლიციელი – მირიან თოფურია, ამჟამად კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილის თანამდებობაზეა დანიშნული“, -სიცრუეს უწოდებს.

„კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილედ მირიან თოფურია ნამდვილად მუშაობს, მაგრამ ეს პიროვნება, გუნავას საქმესთნ დაკავშირებით გათავისუფლებული არ ყოფილა, ეს ცრუ ინფორმაციია. თოფურია მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში და შემდეგ ის კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილედ იქნა გადაყვანილი, თუმცა გუნავას საქმესთან დაკავშირებით ის გათავისუფლებული ნამდვილად არ ყოფილა“ – განუცხადა „ნიუსპრესს“ გიორგობიანმა.

მანვე კომენტარი გააკეთა საყვარელიძის კიდევ ერთ განცხადებაზე, იმასთან დაკავშირებით, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე გელა ხვედელიძე, „საზღვარგარეთ განცხრომაში ცხოვრობს.“

„რაც შეეხება გელა ხვედელიძეს, ჩემი ინფორმაციით, საქართველოში იმყოფება და მას საქართველო არ დაუტოვებია“– განაცხადა გიორგობიანმა.

ნიუსპრესი

ახალქალაქში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალქალაქის რაიონული სამმართველოს ბარალეთის განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ახალქალაქის რაიონის სოფელ არაგვაში მცხოვრები, 1953 წელს დაბადებული სერიოჟა თ., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ,,აკ-74“-ის ტიპის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 4 ჭიდი და 393 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

ნარკოდანაშაულისთვის ერთი პირი დააკავეს

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს დეტექტივების განყოფილების და უბნის ინსპექტორების განყოფილების თანამშრომლებმა, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი, 1969 წელს დაბადებული ზვიად რ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 12 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება, ხოლო მისი დროებითი საცხოვრებელი ბინიდან 1 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება და შუშის ბოთლი ამოიღეს, რომელშიც „ჰეროინი“ იყო მოთავსებული. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ სულ ამოღებულია „ჰეროინი“-ს შემცველი 2,6113 გრ ნარკოტიკული საშუალება. ნარკოლოგიურმა შემოწმებამ დაკავებულს ,,ოპიუმი“-ს ჯგუფის ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ფაქტი დაუდგინა. გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

ოკუპაციის ხაზთან შექმნილი ვითარება განიხილეს

შინაგან საქმეთა სამინისტროში, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ზოლში, რუსი მესაზღვრეების მიერ ბოლო პერიოდში მავთულხლართების გახშირებული ინსტალაციის პროცესთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე, რომელსაც შსს-ს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელობასთან ერთად საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი დავით სუჯაშვილი და მინისტრის მოადგილე ვახტანგ გომელაური ესწრებოდნენ, განხილულ იქნა ოკუპაციის ზოლში შექმნილი ვითარება.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა 27 მაისს გორის რაიონის სოფელ დიცში განვითარებულ მოვლენებზე.

მედიანიუსი

ადვოკატთა კორპუსი დღეს ქუთაისში საპროტესტო აქციას გამართავს

ქუთაისში, პარლამენტის შენობის წინ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი და ადვოკატთა კორპუსი საპროტესტო აქციას გამართავს და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111–ე მუხლს გააპროტესტებს, რომელიც მათი პოზიციით, დაცვის და ბრალდების მხარის თანაწორობის პრინციპს არღვევს.

„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადვოკატს მტკიცებულებების ამოღებისა და ჩხრეკის უფლება არ აქვს. ამას გარდა, პროკურორი საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის გამოთხოვის უფლებით სარგებლობს, ადვოკატი კი - არა“ - აცხადებენ ასოციაციაში.

ამასთან, ხატიაშვილი საქართველოს პრეზიდენტს მოუწოდებს, საპროცესო კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებს, რის შედეგადაც ადვოკატს ჩხრეკის, ამოღებისა და საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის გამოთხოვის უფლება ეზღუდება, ვეტო დაადოს. აქცია ქუთაისში 11:00 საათზე დაიწყება.

ნიუსპრესი

„ფრენოლოგიით შეპყრობილ დეპუტატებს ფრენის ხარჯები ივანიშვილმა აუნაზღაუროს“

„ლეიბორისტული პარტიის" გენერალური სამდივნოს წევრმა თემურ წიკლაურმა, დღეს განცხადება გააკეთა და პრემიერ-მინისტრს მიმართა, რომ დეპუტატებს ქუთაისში ფრენის ხარჯები საკუთარი ჯიბიდან აუნაზღაუროს.

„ქვეყანაში, სადაც სიღატაკე და უმუშევრობაა გამეფებული, სადაც ბავშვები შიმშილით იღუპებიან, ამ ქვეყნის პარლამენტის დეპუტატებმა მიწაზე ბოლო მოდელის ჯიპებით „ჯირითი“ არ იკმარეს და თბილისიდან ქუთაისში საკუთარი თვითმფრინავით ყოველდღიური ფრენა გადაწყვიტეს, რაც ჩვენს გაღატაკებულ ხალხს ათეულობით მილიონი ლარი დაუჯდება.

მივმართავთ მილიარდელ ივანიშვილს, ფრენოლოგიით შეპყრობილ დეპუტატებს ფრენის ხარჯები საკუთარი ჯიბიდან აუნაზღაუროს“ - განაცხადა თემურ წიკლაურმა.

ნიუსპრესი

ევროსაბჭო ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებით შეშფოთებულია

ნათია ხურცილავა

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ჟან კლოდ მინიონი იმყოფება. მას პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილიც შეხვდა. შეხვედრა ჟან კლოდ მინიონთან პრემიერის რეზიდენციაში გაიმართა.

პრემიერ-მინისტრმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი სამუშაო ლანჩზე მიიწვია. შეხვედრას ასევე ესწრებოდა საგარეო უწყების ხელმძღვანელი მაია ფანჯიკიძე.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი, მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების საკითხები განიხილეს. საუბარი შეეხო როგორც საქართველოში მიმდინარე პროცესებს, ასევე სამომავლო გეგმებს.

მინიონის განცხადებით, ევროპის საბჭო ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებებით შეშფოთებული და შეძრწუნებულია. თუმცა ეს განცხადება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა ჯან კლოდ მინიონმა პარლამენტის თავმჯდომარესთან დავით უსუფაშვილთან გამართული შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

– ევროსაბჭოს სახელით მინდა განვაცხადო, რომ შეშფოთებული ვართ იმ დაკავებებით, რაც საქართველოში მოხდა. ბუნებრივია, შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში ვერ ჩავერევით, მაგრამ თუ ამ ადამიანებს მართლაც წაუყენებენ ბრალს, მე მსურს, რომ პროცესები გამჭვირვალე და დემოკრატიულ გარემოში ჩატარდეს. არსებობს უდანაშაულობის პრეზუმპცია და თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, ამით ისარგებლოს. შესაბამისად, ჩვენ ვართ შეშფოთებული და შეძრწუნებული იმ დაკავებებით, რომელიც ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ ხორციელდება, განსაკუთრებით იმ დროს, როცა ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გაიმართოს, – განაცხადა მინიონმა.

ჟან კლოდ მინიონის განცხადებით, არჩევნები ნორმალურ გარემოში უნდა ჩატარდეს და რაიმე სახის შენიშვნა არ უნდა იყოს.

– არჩევნები ნორმალური გარემოში უნდა ჩატარდეს და არ მინდა, რომ ამ საკითხზე რაიმე შენიშვნები გაჩნდეს, – აღნიშნა მინიონმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ჟან კლოდ მინიონი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობით შეშფოთებულია.

როგორც ფანჯიკიძემ ჟურნალისტებს მინიონთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა, საგარეო უწყებაში დახურულ კარს მიღმა გამართულ შეხვედრაზე საუბარი შეეხო საოკუპაციო ხაზის გადმოწევის საკითხს.

– წარმოუდგენელია დღეს ხვდებოდე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელს და არ ისაუბრო იმის შესახებ, რაც ხდება ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ. მე მას მივაწოდე ამომწურავი ინფორმაცია, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია. გარდა ამისა, გადავეცი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ გავრცელებული პრესრელიზი და ასევე ჩვენი განცხადება და ინფორმაცია იმ დიპლომატიური ნაბიჯების შესახებ, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადადგა და რომლის გადადგმასაც მომავალში აპირებს, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

თავის მხრივ ჟან კლოდ მინიონმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ ევროპის საბჭო დაინტერესებულია ე.წ. გაყინული კონფლიქტების გადაწყვეტის საკითხით და მისი ეს მოგზაურობა სამხრეთ კავკასიაში სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

– მან აღნიშნა, რომ ძალიან არის შეშფოთებული ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობით, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების კუთხით და გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ არ არსებობს საერთაშორისო ინსტრუმენტი, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების მდგომარეობას გააკონტროლებდა, – აღნიშნა ფანჯიკიძემ.

რაც შეეხება იმას, მოსალოდნელია თუ არა ევროპის საბჭოს მხრიდან რაიმე ოფიციალური განცხადების გაკეთება ე.წ. საზღვრის გადმოწევასთან დაკავშირებით, საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ ევროპის საბჭო ორ დღეში რეაგირებას ვერ შეძლებს და მან ჯერ სიტუაცია უნდა შეისწავლოს.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის ჟან კლოდ მინიონის განცხადებით, „ევროსაბჭო უპირატესობას დიალოგს ანიჭებს“.

– ჯერჯერობით ამ საკითხთან დაკავშირებით სრული ინფორმაცია არ მაქვს. მე ვთხოვე ამის შესახებ დეტალური ინფორმაცია მომაწოდონ და სწორედ ამის შემდეგ მოვახდენთ რეაგირებას. ბუნებრივია, ამ საკითხზე ვისაუბრე პარლამენტის თავმჯდომარესთან, განათლებისა და რეინტეგრაციის მინისტრებთან, რადგან ვცდილობ, უფრო მეტი და ზუსტი ინფორმაცია მივიღო. ბუნებრივია, ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ დიალოგს. 2008 წლიდან მოყოლებული ევროსაბჭო აქ მიმდინარე მოვლენებს თვალყურს ადევნებდა. გარდა ამისა, აკეთებდა მოხსენებებსა და რეკომენდაციებს და ჩვენ ამ საკითხსაც ყურადღებით ვაკვირდებით, – განაცხადა მინიონმა.

ფანჯიკიძის განცხადებით, საქართველო არასოდეს ეცდება ევროპის საბჭოს მუშაობა ჩიხში შეიყვანოს.

– მე დღეს მინიონს მეორედ შევხვდი სტრასბურგში გამართული შეხვედრის შემდეგ. ჩვენ ვისაუბრეთ საქართველოს ახალ მიდგომაზე ევროპის საბჭოს მიმართ. ჩვენი მიდგომა იქნება კონსტრუქციული და საქართველო არასდროს შეეცდება ევროპის საბჭოს მუშაობა ჩიხში შეიყვანოს, რადგან ჩვენ იმედი გვაქვს, რომ კონსტრუქციული მიდგომით უფრო მეტ სარგებელს მივიღებთ ჩვენი ქვეყნისთვის, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

მისივე თქმით, შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს მიერ ევროპის საბჭოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს და იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს ამ ვალდებულებების შესრულების პროცესი.

მინისტრის თქმით, შეხვედრაზე საუბარი ევროპის საბჭოს წინაშე აღებულ ვალდებულებებსაც შეეხო.

– ვუთხარი იმის თაობაზე თუ რა მდგომარეობაშია პროცესები, თავის მხრივ მინიონმა ისაუბრა იმაზე, რომ ევროპის საბჭო დაინტერესებულია ე.წ. გაყინული კონფლიქტების მოგვარებით და მისი მოგზაურობაც ამ მიზანს ემსახურება. მან აღნიშნა, რომ ძალიან არის შეშფოთებული ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობით, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, – განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

როგორც ფანჯიკიძემ აღნიშნა, მინიონმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ არ არსებობს საერთაშორისო ინსტრუმენტი, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დაცვას გააკონტროლებს.

– მინიონი გუშინ ჩამოვიდა საქართველოში და დახვდა ახალი ამბავი ადმინისტრაციულ საზღვართან მიმდინარე პროცესებზე; ევროპის საბჭოს არ შეუძლია ჩვენ მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე და სადამკვირვებლო მისიის განცხადებაზე ერთ-ორ დღეში მოახდინოს რეაგირება, მან უნდა შეისწავლოს სიტუაცია და ამის შემდეგ არ გამოვრიცხავ, შესაბამისი განცხადების გაკეთებას ევროპის საბჭოს მხრიდან“, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

საგარეო უწყებაში განაცხადეს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის სხდომაზე საოკუპაციო ხაზის გადმოწევის საკითხს დააყენებს.

– მე მექნება საშუალება, მივმართო მინისტრთა მოადგილეების კომიტეტს და წარვუდგინო ჩვენი პოზიცია უკანასკნელ ხანს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, კერძოდ, საერთაშორისო სამართლის ნორმის იმ დარღვევებზე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ცხინვალის რეგიონში ბოლო დღეების განმავლობაში, მხედველობაში მაქვს მავთულხლართების განლაგება ოკუპირებული საზღვრის გასწვრივ. მე ძალიან მწვავედ დავსვამ ამ საკითხს, მივმართავ საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ მოხდეს ადეკვატური შეფასება და მკაცრად მოუწოდონ რუსეთს, 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება დაიცვას და ასევე, პატივი სცეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, – განაცხადა დავით ზალკალიანმა.

ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის სხდომაზე განხილული იქნება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მე-7 კონსოლიდირებული ანგარიში საქართველოში კონფლიქტის თაობაზე. ანგარიში 2012 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის მარტის ჩათვლით პერიოდს მოიცავს.

რუსეთის ფედერაციის მიერ საოკუპაციო ზოლის გადმოწევის ფაქტთან დაკავშირებით გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარი შტეფან ფულე რუსეთს ვალდებულებების შესრულებისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდებს.

დიმიტრი შაშკინი: „26 მაისის საქმე ბოლომდე უნდა გამოგვეძიებინა“

ნათია ხურცილავა

1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დიმიტრი შაშკინმა ქვეყანა დატოვა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ოჯახთან ერთად გაემგზავრა. თუმცა, მოგვიანებით შაშკინი ჯერავ დაუბრუნდა სამშობლოს. რა იყო წასვლის მიზეზი და შემდეგ დაბრუნების, ამის შესახებ ყოფილმა თავდაცვისა და განათლების მინისტრმა ჟურნალისტებთან ისაუბრა.

საგანგებო პრესკონფერენციაზე დიმიტრი შაშკინმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის დროებით განერიდა პროცესებს და შემდეგ დაბრუნდა. მაშინ მან განცხადება გააკეთა, თუ გამოძიებას მასთან კითხვები ექნებოდა, მზად იყო ამომწურავად გაეცა ყველა კითხვისთვის პასუხი.

გუშინ დიმიტრი შაშკინმა ვანო მერაბიშვილის დაკავების ფაქტზე ისაუბრა. შაშკინი ამბობს, რომ ვანო მერაბიშვილი ერთ-ერთი საუკეთესო მენეჯერია და მისთვის პატივია, რომ მერაბიშვილთან მუშაობის საშუალება ჰქონდა.

მისი თქმით, რჩება შთაბეჭდილება, რომ ქვეყანა გახდა რევანშისტულად განწყობილი პატარა ჯგუფის მძევალი, რომელსაც სურს ვენდეტა.

როგორც დიმიტრი შაშკინი ამბობს, ვანო მერაბიშვილის დაკავებით ქვეყანაში უკეთესი მდგომარეობა არ იქნება, არც სამუშაო ადგილები შეიქმნება და ვერც ხალხი იცხოვრებს უკეთესად.

ის მერაბიშვილის ბრალის დამძიმებასაც გამოეხმაურა. მისი თქმით, 25 მაისს, 23:00 საათზე მერაბიშვილის კაბინეტში იყო განათლების სამინისტროს საკითხთან დაკავშირებით სასაუბროდ, როცა შს მინისტრს იმჟამინდელმა მოადგილემ გია ლორთქიფანიძემ მოახსენა, რომ მომიტინგეებმა ბარიერები ჯაჭვებით გაამაგრეს. შაშკინის თქმით, ვანო მერაბიშვილმა გასცა ჯაჭვების გაჭრის ბრძანება, რათა ხალხს ჰქონოდა შესაძლებლობა გასულიყო ტერიტორიიდან. როგორც დიმიტრი შაშკინი ამბობს, ყოველივე ამის გათვალისწინებით, არასწორია პროკურატურის ბრალდება იმასთან დაკავშირებით, რომ 26 მაისს მომიტინგეებს განზრახ არ მიეცათ ტერიტორიიდან უსაფრთხოდ გასვლისა და პოლიციის მოთხოვნის შესრულების შესაძლებლობა.

შაშკინი ასევე აღნიშნავს, რომ უნდა მოხდეს 26 მაისის მოვლენების კომპლექსური გამოძიება, მათ შორის ორგანიზატორების მიმართაც. მისი თქმით, წინა ხელისუფლების შეცდომა იყო, რომ ეს გამოძიება არ დაიწყო, რადგან პოლიტიკურ დევნად ჩაითვლებოდა.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის დიმიტრი შაშკინის განცხადებით, ვანო მერაბიშვილის მიმართ ბრალდება 26 მაისს მოვლენებთან დაკავშირებით არალოგიკურია.

შაშკინი იხსენებს, თუ როგორ შეესწრო მერაბიშვილის კაბინეტში განვითარებულ მოვლენებს. სწორედ მაშინ გასცა მერაბიშვილმა ბრძანება გადაჭრილიყო ეს ჯაჭვები და ხალხს ჰქონოდა გასვლის საშუალება, რათა არ მომხდარიყო ჭყლეტა და არ განმეორებულიყო 9 აპრილი.

დიმიტრი შაშკინი დეტალურად იხსენებს 26 მაისს განვითარებულ მოვლენებს:

– რაც შეეხება 26 მაისის საქმესთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებას, მე მაშინ ვიყავი განათლების მინისტრი და 25 მაისს, 23 საათზე ვიყავი ვანო მერაბიშვილის კაბინეტში, აბსოლუტურად სხვა საქმეზე. ამ დროს გია ლორთქიფანიძემ, რომელიც იყო მისი მოადგილე, მოახსენა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ სპეცრაზმის გამოჩენისთანავე მომიტინგეებმა დაიწყეს ჯაჭვების გაბმა ბარიერების ირგვლივ. უფრო მარტივად რომ ვთქვა, სპეცრაზმი გამოჩნდა ფილარმონიის მხრიდან და მთლიანად ეს ტერიტორია, სადაც იმყოფებოდნენ მომიტინგეები, გარშემორტყმული იყო ბარიერებით.

მომიტინგეებმა, როგორც მოადგილემ ვანო მერაბიშვილს მოახსენა, 11 საათზე დაიწყეს მსხვილი ჯაჭვებით ბარიერების გამაგრება. ეს ჯაჭვები ასე რომ დარჩენილიყო, სპეცოპერაციის დაწყებისთანავე მოხდებოდა ჭყლეტა და 9 აპრილის მოგონება იქნებოდა. ჩემ თვალწინ შინაგან საქმეთა მინისტრმა გასცა ბრძანება, რომ სპეცოპერაციის დაწყებამდე მომხდარიყო გადაჭრა ამ ჯაჭვების. კადრებში ჩანს, რომ რამდენიმე სპეცრაზმელი რუსთაველის კინოთეატრთან მიიპარა ამ ბარიერებთან და გადაჭრა ეს ჯაჭვები. ეს გაკეთდა იმისთვის, რომ სპეცოპერაციის დაწყებისთანავე ხალხს ჰქონოდა შესაძლებლობა ტერიტორიიდან გასულიყო. ვანო მერაბიშვილი არის კარგი მენეჯერი და ბევრი გააკეთა ჩვენი ქვეყნისთვის. ვანო მერაბიშვილის დაკავება ან წინასწარი პატიმრობა არაფერს კარგს არ მოგვიტანს არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ. ქვეყანა გახდა მძევალი რევანშისტულად განწყობილი პატარა ჯგუფების, რომელთაც შურისძიება და ვენდეტა სურთ. არავითარი კარგი რევანშისტულ ისტერიას ქვეყნისთვის არ მოაქვს, ეს ისტერია უნდა დამთავრდეს და ამისთვის ხელისუფლებას ყველა ბერკეტი აქვს. ხშირად მესმის ასევე მთავრობისგან, რომ ასრულებენ საზოგადოებრივ დაკვეთას, თუმცა ეს ასე არ არის, რადგან საზოგადოებრივი დაკვეთა არის რეალურად ის, რომ ხალხმა იცხოვროს კარგად და ჰქონდეთ შემოსავალი, – განაცხადა შაშკინმა.

თავდაცვის ექსმინისტრი, როგორც აღვნიშნეთ, საჭიროდ მიიჩნევს, რომ 26 მაისს მოვლენების გამოძიება კომპლექსურად უნდა მოხდეს, რადგანაც ის თვლის, რომ მათი ხელისუფლების პერიოდში ამ საქმის ბოლომდე გამოძიება ვერ მოხერხდა.

– მე ვთვლი, რომ შეცდომა იყო დაშვებული ჩვენ მიერ, რომ 26 მაისს საქმე არ იყო ბოლომდე გამოძიებული. ამიტომაც ეს მთლიანად უნდა ყოფილიყო გამოძიებული, – აცხადებს შაშკინი.

ბუბა კიკაბიძეს რუსთაველის პრემია მიენიჭა

ეკა ირემაშვილი



საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ტრადიცია არც წელს დაარღვია და გამოჩენილ ქართველ ხელოვანებსა და საზოგადო მოღვაწეებს რუსთაველის პრემიები მიანიჭა.

წელს ამ პრესტიჟული პრემიის მფლობელები გახდნენ მსახიობი ბუბა კიკაბიძე, მომღერალი ირაკლი ჩარკვიანი, მეცნიერი მზექალა შანიძე, მოცეკვავე ფრიდონ სულაბერიძე, რეჟისორი დავით დოიაშვილი, კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი, პროფესორი მაგალი თოდუა, მთარგმნელი დავით წერედიანი, მხატვარი გიორგი ოჩიაური, დირიჟორი შალვა მოსიძე, პოეტი გენო კალანდია, მხატვარი ირაკლი ოჩიაური, მხატვარი ქეთევან მატაბელი და პოეტი ჯემალ აჯიაშვილი.

– ჩემთვის დიდი პატივია ყოველწლიური ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება. მაქვს პატივი დავაჯილდოვო ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები. თითოეული ადამიანი ჯილდოვდება საკუთარი დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. უნდა ვაღიარო, რომ ასეთი წარმომადგენლობითი, ასეთი შთამბეჭდავი სია რუსთაველის პრემიის ლაურეატების, ჩვენ დიდი ხანია არ გვქონია. ამ პრემიაზე ხელის მოწერის პატივი მაქვს და ეს ჩემთვის ნამდვილად საამაყოა, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ირაკლი ჩარკვიანის კუთვნილი რუსთაველის პრემია მისმა მამამ, გელა ჩარკვიანმა აიღო. დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდა მომღერლის მეუღლე ქეთათო ჩარკვიანიც.

– ირაკლი ჩარკვიანი თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოა დამოუკიდებლობის შემდეგ, რომელიც არის ძალიან სახელოვანი, ძალიან საინტერესო და ამავე დროს ძალიან ტრაგიკული. ის სიმბოლოა იმ თაობისა, რომლის დიდი ნაწილი განადგურდა სამოქალაქო ომში, განადგურდა კრიმინალის თარეშში, განადგურდა უპერსპექტივობაში, განადგურდა იმ ყველაფერ ქაოსში, რაც მაშინდელ საქართველოში იყო. ეს იყო სახადი ჩვენი ქვეყნისთვის, ეს რაღაც ფასი იყო ჩვენი თავისუფლების. ერთდროულად ირაკლი გადაყვა ამ ეპოქას, მაგრამ ამავე დროს შექმნა თავისი ეპოქა, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

მომღერლის მამამ, გელა ჩარკვიანმა კი განაცხადა:

– ქართველისთვის არ არსებობს უფრო დიდი პატივი, ვიდრე მისთვის ყველაზე დიდი ქართველის სახელობის პრემიის მინიჭებაა. მადლობა მინდა ვუთხრა საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც გაიზიარა და დააფასა ის ხელოვნება, რომელიც შექმნა ირაკლი ჩარკვიანმა. მჯერა, რომ ირაკლი ამ წუთას ძალიან ბედნიერია.

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების კომისიამ კონკურსი რამდენიმე თვის წინ გამოაცხადა. როგორც კულტურის სამინისტრო განმარტავს, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიაზე განაცხადები მიიღებოდა შემდეგ დარგებში: მხატვრული ლიტერატურა, მუსიკალური, კინო, სახვითი და თეატრალური ხელოვნება, არქიტექტურა, რუსთველოლოგია, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები. შოთა რუსთაველის სახელობის პრემია ენიჭება: ხელოვნების დარგში – ლიტერატურის, მთარგმნელობითი და კვლევითი, ხელოვნებისა და არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებისათვის, რომელმაც მხატვრულ ღირსებათა გამო საერთო ეროვნული აღიარება მოიპოვა და გამსჭვალულია თავისუფლების, ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის ზოგადსაკაცობრიო იდეალებით; მეცნიერების დარგში – მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული და საყოველთაოდ აღიარებული სამეცნიერო ნაშრომისათვის ან ნაშრომთა ციკლისათვის, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს მეცნიერების განვითარებაში; ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში – ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, რომელმაც საერთო ეროვნულ აღიარება მოიპოვა და განსაკუთრებული წვლილი შეიტანა შესაბამისი დარგის განვითარებაში.

შოთა რუსთაველის სახელობის პრემია გაიცემა არა უმეტეს შვიდისა, თითოეული 15.000 ლარის ოდენობით. პირს, რომელიც მოიპოვებს შოთა რუსთაველის სახელობის პრემიას, ენიჭება შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება და გადაეცემა ლაურეატის დიპლომი, ოქროს medალი და ფულადი ჯილდო.

საქართველოს ეროვნულ პრემიაზე განაცხადები მიიღებოდა შემდეგ დარგებში: მხატვრული ლიტერატურა, მუსიკალური, კინო, სახვითი და თეატრალური ხელოვნება, არქიტექტურა, ტელევიზია, პუბლიცისტიკა, კულტურული მემკვიდრეობა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები, medიცინა, ტექნიკა.

საქართველოს ეროვნული პრემია ენიჭება: ხელოვნების დარგში – მაღალმხატვრული ნაწარმოებისათვის, რომელიც ასახავს თანამედროვეობის ყველაზე აქტუალურ პრობლემებს, ნერგავს თავისუფლებისა და მომავლის რწმენას და მოპოვებული აქვს საერთო ეროვნული აღიარება; მეცნიერების დარგში – მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული და საყოველთაოდ აღიარებული სამეცნიერო ნაშრომისათვის ან ნაშრომთა ციკლისათვის, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს მეცნიერების, ქვეყნის სულიერ, სოციალურ ან და ეკონომიკურ განვითარებაში.

საქართველოს ეროვნული პრემია გაიცემა არაუმეტეს ათისა, თითოეული 10.000 ლარის ოდენობით. პირს, რომელიც მოიპოვებს საქართველოს ეროვნულ პრემიას, ენიჭება საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატის წოდება და გადაეცემა საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატის დიპლომი, ვერცხლის medალი და ფულადი ჯილდო.

შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების მოსაპოვებლად კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ იმ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებს, შემოქმედებით და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც მოღვაწეობენ ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში და აქვთ შესაბამისი ავტორიტეტი და კომპეტენცია; პრემიების მოსაპოვებლად შეიძლება წარდგენილ იქნას პირი მისი მოქალაქეობის მიუხედავად; პირი შეიძლება ერთდროულად წარდგენილი იქნას ორივე პრემიის მოსაპოვებლად; პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილი კანდიდატი არ შეიძლება იყოს კომისიის წევრი; კონკურსებში ლიტერატურული ნაწარმოების წარდგენა დასაშვებია მხოლოდ მისი დასრულებული სახით გამოქვეყნების შემდეგ; მუსიკალური, სახვითი, თეატრალური, კინოხელოვნებისა და სატელევიზიო ნაწარმოების წარდგენა – მას შემდეგ, რაც მათ სრულად გაეცნობა საზოგადოება კონცერტებზე, გამოფენებზე, თეატრებში, კინოთეატრებში, პრესისა და რადიო-ტელევიზიის საშუალებებით; არქიტექტურის ნაწარმოებისა – მხოლოდ ობიექტის მშენებლობის დასრულების შემდეგ; მეცნიერების დარგში – მხოლოდ სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებისა ან მისი პრაქტიკული განხორციელების შემდეგ; გარდაცვლილ შემოქმედს ან მეცნიერს პრემია ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ იგი წარდგენილი იყო სიცოცხლეშივე, ან მოგვიანებით გამოქვეყნდა მისი ახალი, მანამდე უცნობი მნიშვნელოვანი ნაწარმოები; დაუშვებელია პრემიის მოსაპოვებლად კომისიის მიერ უარყოფილი ნაწარმოების ხელმეორედ წარდგენა გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაწარმოები (ნაშრომი) ტექნიკური მიზეზების გამო არ იქნა დაშვებული საკონკურსოდ; კონკურსებში ავტორთა კოლექტივების წარდგენისას დასაშვებია წარდგენა არაუმეტეს 4 კანდიდატისა, გამარჯვების შემთხვევაში მათზე ფულადი ჯილდო ნაწილდება თანაბრად. კონკურსში მონაწილეობისათვის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო დოკუმენტაცია, რომელიც აერთიანებს: წარდგინებას, ანუ ნაწარმოების, ნაშრომის აღწერა-დახასიათებას იმ განსაკუთრებული ღირსებების აღნიშვნით, რის გამოც ხდება მისი ავტორის შოთა რუსთაველის სახელობის ან საქართველოს ეროვნულ პრემიაზე წარდგინება. დოკუმენტს ხელს აწერს წარმდგენი ორგანიზაციის ხელმძღვანელი; საკონკურსო ნაწარმოების, ნაშრომის შესახებ პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები, აუდიო, ვიდეო, ფოტო და სხვა მასალები ნაწარმოებზე, ნაშრომზე წარმოდგენის შესაქმნელად; ლიტერატურული ნაწარმოები 9 ეგზემპლარად, სამეცნიერო ნაშრომი 5 ეგზემპლარად, სიმფონიური ნაწარმოების პარტიტურა 1 ეგზემპლარად, კამერული მუსიკალური ნაწარმოების კლავირი 3 ეგზემპლარად, აუდიო, ვიდეო ჩანაწერები;

ნინო ანანიაშვილმა ქორეოგრაფობა დაიწყო

ეკა ირემაშვილი

ქართველმა პრიმაბალერინამ ნინო ანანიაშვილმა ქორეოგრაფობა დაიწყო. მის მიერ დადგმული საბალეტო სპექტაკლის პრემიერა პირველ ივნისს გრიბოედოვის თეატრში გაიმართება.

„ამაო სიფრთხილე“ – ასე ეწოდება ახალ ორმოქმედებიან საბალეტო სპექტაკლს, რომლის ლიბრეტოც ნინო ანანიაშვილსა და ალექსი ფადეეჩევს ეკუთვნის. სპექტაკლი ფრანგი ბალეტმეისტერის ჟან დობერვალის მოტივებზეა აგებული. ახალ ბალეტში გამოყენებულია ფერდინანდ ჰეროლდის და პეტერ ლუდვიგ ჰერტელის მუსიკა.

„ამაო სიფრთხილე“ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე პირველად 1907 წელს პეტერბურგის საიმპერატორო ბალეტის საგასტროლო ჯგუფმა წარმოადგინა. გასული საუკუნის 40-იან წლებში ბალეტი თეატრის სცენაზე პირველად დადგა დემეტრაშმა. 1986 წელს „ამაო სიფრთხილის“ დადგმა ზურაბ კიკალეიშვილმა განახორციელა. 2005 წელს თეატრმა, ინგლისის სამეფო ბალეტიდან, „ამაო სიფრთხილის“ ფრედერიკ ეშტონისეული რედაქციის დადგმის უფლება მიიღო. ბალეტი თბილისში ალექსანდრ გრანტმა და ემილიო მარტინსმა დადგეს. „ამაო სიფრთხილის“ ახალი რედაქცია თბილისში 2013 წელს ნინო ანანიაშვილის და ალექსი ფადეეჩევის მიერ დაიდგა.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრეზზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვი-ანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

ხორვატიამ გაფართოებული შემადგენლობა და მოსამზადებელი გეგმა გამოაქვეყნა

ევრობასკეტზე საქართველოს ნაკრების მეტოქე ხორვატიის ნაკრების მწვრთნელმა, იასმინ რეპეშამ გაფართოებული, 24-კაციანი შემადგენლობა გამოაქვეყნა. რამდენიმე დღის წინ გაირკვა, რომ რეპეშა ხორვატებს ევროპის ჩემპიონატზე გაჰყვება. როგორც უკვე ვწერდით, ხორვატ სპეციალისტს ესპანურმა „უნიკახამ“ კონტრაქტი აღარ გაუგრძელა და, შესაბამისად, რეპეშას თავისუფალი დრო დარჩა, რომელსაც თავისი ქვეყნის ნაკრებს მოახმარს.

როკო ლენი უკიჩი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), დონტეი დომინიკ დრეიპერი (რეალი, ესპანეთი), როკ სტიპჩევიჩი (სკავოლინი, იტალია), ანტე დელასი (ზადარი), ტონი პროსტრანი (ზადარი), მარკო ტომასი (ცედევიტა), კრუნოსლავ სიმონი (უნიკახა, ესპანეთი), ბოიან ბოგდანოვიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), მარიო ჰეზონია (ბარსელონა, ესპანეთი), ფრან პილეპიჩი (ბილბაო, ესპანეთი), ივან რამლიაკი (შიროკი, ბოსნია-ჰერცეგოვინა), ლუკა ბაბიჩი (ცედევიტა), ჰრვოიე პერიჩი (კრემონა, იტალია), დამიან რუდეზი (სარაგოსა, ესპანეთი), დარიო სარიჩი (ციბონა), მარიო დელასი (ჟალგირისი, ლიტვა), დამირ მარკოტა (ბეშიქთაში, თურქეთი), ლეონ რადოსევიჩი (მილანი, იტალია), მირო ბილანი (ცედევიტა), დარკო პლანინიჩი (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), ანტე ტომიჩი (ბარსელონა, ესპანეთი), ლუკა ზორიჩი (უნიკახა, ესპანეთი), ლუკსა ანდრიჩი (ცედევიტა), სტანკო ბარაჩი (ეფესი, თურქეთი).

აღნიშნულ შემადგენლობაში არ არიან ძლიერი და ძალზე გამოცდილი მოთამაშეები – მარკო პოპოვიჩი და ზორან პლანინიჩი. ამ კალათბურთელებს ტრავმები აწუხებს და ისინი ნაკრებს სლოვენიაში ვერ დაეხმარებიან. რეპეშამ ნაკრებში უხმო ამერიკელ დონტეი დრიპერს, რომელიც ხორვატთა ნაკრებში ნატურალიზებულ წევრად ითვლება და ამ ქვეყნის ღირსებას გასულ ევრობასკეტზეც იცავდა.

სანიკიძე და სიენა ტიტულისთვის იბრძვიან

ცოტა დააკლდა ვიქტორ სანიკიძის გუნდს, ნახევარფინალური სერიის მეორე გასვლითი შეხვედრაც მოეგო და საშინაო მატჩებს უფრო კომფორტული უპირატესობით შეხვედროდა. იტალიის სერია ა-ს ჩემპიონი „სიენა“ ბოლომდე ებრძოლა „ვარეზეს“, მაგრამ საბოლოოდ 2 ქულის სხვაობით – 62:64 დამარცხდა და სერიაში ანგარიში გათანაბრდა – 1:1.

ქართველი ფორვარდი ამჯერად მხოლოდ 11 წუთით ათამაშეს. სანიკიძემ მეტოქის ფარს მხოლოდ საჯარიმეოებით შეუტია და 2-დან 2 ჩააგდო, რასაც 4 მოხსნა მოაყოლა. მწირექულიან მატჩში სიენელთაგან საუკეთესო დანიელ ჰაკეტი (17 ქულა) გახდა, ხოლო ბობი ბრაუნმა 11 ქულა და 5 პასი მიითვალა.

სერია ახლა სიენაში ინაცვლებს, სადაც 2 მატჩი ჩატარდება – 30 მაისს და 1 ივნისს.

რუსთავი საქართველოს ჩემპიონია

დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში ქალთა შორის. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთის პირისპირ რუსთავის „ვეჯინი“ და ქუთაისი წარდგნენ.

ფინალამდე რუსთაველებმა იოლად, 81: 52 მოუგეს ახმეტის გუნდს, ხოლო „ქუთაისმა“ დაძაბულ ბრძოლაში „ზესტაფონი“ დაამარცხა.

სპორტის სასახლეში გამართულმა ფინალურმა მატჩმა მოლოდინი ვერ გაამართლა – რუსთაველები აშკარად უკეთესად გამოიყურებოდნენ მეტოქეზე და მატჩის ბედი პრაქტიკულად პირველ მეოთხედში გადაწყვიტეს, რომელიც 24:13 მოიგეს.

ქვემოქართლელთა შემადგენლობაში ყველაზე უკეთ ნათია ფუტკარაძე და ხათუნა საჯაია გამოირჩეოდნენ. მეორე მეოთხედში ქუთაისელებმა თითქოს მდგომარეობა გამოასწორეს და მეტოქეს უფრო მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, თუმცა ათწუთიანი ქულით მაინც დათმეს და გუნდები დიდ შესვენებაზე რუსთაველთა 12-ქულიანი ჰანდიკაპით გავიდნენ – 40:28.

ქვემოქართლელებმა მესამე მეოთხედიც მოიგეს და ბოლო ათწუთიანი მხოლოდ ფორმალობად აქციეს.

რუსთაველთა შორის საუკეთესო ფუტკარაძე იყო, რომელმაც 33 ქულა და 10 მოხსნა დააგროვა. ორმაგი დუბლი მიითვალეს საჯაიამ (22 ქულა, 16 მოხსნა) და ანა მაისურაძემ (22 ქულა, 10 მოხსნა). თუ დააკვირდებით, ამ სამი კალათბურთელის ანგარიშზე რუსთაველთა 84 ქულიდან 77 მოდის.

ქუთაისელთა მხრიდან კი საუკეთესო ნელი ჟორჟოლიანი იყო, რომელმაც 36 ქულა და 12 მოხსნა დააგროვა. სამმაგ დუბლამდე ცოტა დააკლდა თამარ მანაგაძეს (11 ქულა, 8 მოხსნა, 9 პასი), თუმცა, მათმა თამაშმა „ქუთაისს“ ვერ უშველა.

მესამე ადგილზე ახმეტის გუნდი გავიდა, რომელმაც „ზესტაფონს“ 43:39 მოუგო

შოთა გრიგალაშვილს „საქმეს გაურჩევენ“

რუსული მედიის ინფორმაციით, უახლოეს დღეებში რუსეთის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტი შოთა გრიგალაშვილის საქმეს განიხილავს. ამ საქმის გამო შესაძლოა ყველაფერი თავდაყირა დადგეს და „სკა ენერგიას“ უმაღლესში გადასასვლელ პლეი-ოფში თამაშის უფლება ჩამოერთვას.

2012-13 წლების სეზონში 26 წლის შოთა გრიგალაშვილს სამ კლუბში თამაში ბრალდება. ეს კი, ფიფას წესებით, დაუშვებელია.

ზაფხულში გრიგალაშვილი „დილაში“ ირიცხებოდა და ევროტურნირებზე ითამაშა, შემოდგომაზე ვლადიკავკაზის „ალანიაში“ გადავიდა, ხოლო იანვარში ხაბაროვსკელთა რიგებში აღმოჩნდა.

რეგლამენტის მიხედვით, 8-ვე თამაშში, რომელშიც ქართველმა მიიღო მონაწილეობა, „სკა-ენერგიას“ 0:3 უნდა ჩაეთვალოს. ასე რომ, შეიძლება გიორგი დარასელიას გუნდმა აღზევების შანსი დაკარგოს.

შეგახსენებთ, რომ გრიგალაშვილის გარდა ხაბაროვსკელთა კლუბის ღირსებას იცავენ გიორგი ნავალოვსკი, ლაშა სალუქვაძე, გოჩა ხოჯავა და ოთარ მარცვალაძე.

„სკა-ენერგიას“ გენერალური დირექტორი სერგეი ფელდმანი კი აცხადებს, რომ კლუბს არაფერი დაურღვევია შოთა გრიგალაშვილის საქმესთან დაკავშირებით. „სკა-ენერგიას“ დღეს პლეი ოფის მატჩი ელის „როსტოვთან“, ანუ ერთი ნაბიჯი დარჩა პრემიერლიგამდე, თუმცა შესაძლოა, გუნდს მეოთხე ადგილი წაართვან და მის ნაცვლად „ბალტიკამ“ ითამაშოს.

სერგეი ფელდმანი:

– არაფერი დაგვირღვევია. ყველა საჭირო დოკუმენტი ხელთ მაქვს და რუსეთის საფეხბურთო კავშირში წარვადგენ. ჯერ ერთი, შუაღამისას გაჩნდა სტატია გაზეთში და ამით დაიწყო გარჩევა. ვის რაში სჭირდებოდა, ნამდვილად არ ვიცი. მეორეც, გადაშალეთ ფიფასა და რუსეთის საფეხბურთო კავშირის რეგლამენტი, წაიკითხეთ მე-3 თავის, მე-4 სტატიის, მე-5 პუნქტი. ფეხბურთელს არ აქვს უფლება ერთი სეზონის განმავლობაში 3 კლუბში თამაში, ოღონდ ერთ ტურნირზე. ეს პრინციპია. რუსეთში კი გრიგალაშვილი მხოლოდ „ალანიასა“ და „სკა-ენერგიაში“ გამოდიოდა. ის საქართველოს ჩემპიონატის განაცხადში არ გახლდათ და მხოლოდ ევროპის ლიგის საკვალიფიკაციოზე ითამაშა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საქართველოს ნაკრები ირლანდიაში პრობლემებით გაფრინდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

– მხოლოდ ერთი თავდამსხმელით მიდიხართ.

– მჭედლიძემ, ბოლოს და ბოლოს მანაც გამოიჩინა თავი გატანილი გოლით. სხვათა შორის, საკმაოდ ლამაზი გოლი გამოუვიდა. ლევანიც სხვების მსგავსად გამოძახებული გვყავდა, მაგრამ მას თამაშები უწევს იტალიაში – მისი გუნდი სერია ა–ში გადასასვლელად იბრძვის. რაც შეეხება ლადო დვალიშვილს, ზოგან დაიწერა – რა კარგ ფორმაშია დვალიშვილი და რატომ არ გამოიძახაო, თუმცა ამის წერას, სჯობს, გადახედონ პოლონეთის ჩემპიონატის კალენდარს: „ლეგია“ იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო ჩემპიონი, 2 და 5 ივნისი კი ფიფას მიერ ამხანაგურებისთვის გამოყოფილი დღე არაა და ამიტომაც, „ლეგიას“ ვერ დავავალდებულებდით ლადოს გამოშვებას. დვალიშვილის ბოლო თამაშები ვნახე. პოლონეთშიც ვიყავი გამგზავრებული და მას პირადად ვესაუბრე. ჩვენზე არაა დამოკიდებული, დაგვეხმარება თუ არა ის აღნიშნულ შეხვედრებში. კლუბს უფლება აქვს, არ გამოუშვას მოთამაშე ამხანაგურ მატჩზე, მიუხედავად იმისა, სჭირდება ის თუ არა. სამწუხაროდ, არიან მოთამაშეები, რომლებიც თავიანთ ჩემპიონატებში უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის იბრძვიან და პლეი-ოფები აქვთ სათამაშო. სწორედ ამის გამო დაგვაკლდა ალეკო ამისულაშვილიც, რომლის „კრილია“ რუსეთის პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის.

– ოქრიაშვილი და ლევან ყენია რატომ არ არიან სიაში?

– ოქრიაშვილმა, დაღლილი ვარო. რაღაც აწუხებს და ჩვენც გადავწყვიტეთ, არ გვეთამაშებინა. რაც შეეხება ყენიას, ის ქორწინდება და ჩვენთვის ვერ მოიცალა. როცა სანაკრებო შეხვედრა იყო, ყოველთვის დიდი სიხარულით ჩამოვდიოდი და ყველაფერს ვაკეთებდი მოედანზე. ცარიელ ლაპარაკზე არ ვყოფილვარ... არავისთვის დამიჩოქია, არიქა, ჩამოდით-მეთქი და ამას ვერც გავაკეთებ.

– ამ ფეხბურთელებს, რომლებზეც საუბრობთ, ოფიციალურ მატჩებშიც არ გამოიძახებთ?

– წამყვან ფეხბურთელებს რომ არ გამოვიძახებ და შედეგი არ იქნება, მე დამიწყებენ გინებას. ნორმალურ ქვეყანაში ფეხბურთელთა ჩამოუსვლელობის ამგვარ მიზეზებს არ „გაატარებდნენ“, მაგრამ ჩვენთან სხვა სიტუაციაა – საქართველოში ნამდვილად არ არის საფეხბურთო ბუმი, რომ დიდი არჩევანი გვქონდეს. მზად ვარ, ადამიანური პრინციპები დავთმო, რათა ოპტიმალური შემადგენლობა გავიყვანო მინდორზე.

– ელგუჯა გრიგალაშვილიც არაა სიაში. რატომ?

– ის ჩვენთან ერთად ვარჯიშობს, თუმცა ვიზის პრობლემა ვერ მოგვარდა და ვერ წამოგვყვება.

– ისევ თავდამსხმელების თემაზე: ამდენი ფორვარდი არ გყავთ და ჯაბა დვალი მაინც არ გამოიძახეთ. ნაკრები მისთვის დახურული თემაა?

– დახურული ნამდვილად არაა. ასე გადავწყვიტეთ, რომ არ გამოგვეძახა. დღესდღეობით ის შემადგენლობა, რომელიც ჩემს ხელთაა, უკეთესია! ბოდიშით, მაგრამ ფეხბურთელს მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატში ნათამაშევით ვერ შევაფასებ. სამწუხაროდ, სხვა დონეა. რა თქმა უნდა, უმაღლეს ლიგაში ვაკვირდებით ხალხს, თუმცა ყველას გამოძახება არ არის უპრანი.

– თუმცა, სიაში არაერთი ფეხბურთელი გყავთ საქართველოს კლუბებიდან.

– დიახ. და ისინი ნათელი წერტილები არიან. კიდევ ისაა საწყენი, რომ არიან ფეხბურთელები, რომლებიც 2 წლის წინ უკეთ თამაშობდნენ, დღეს კი მოუკლეს. ეს ბუნებრივი პროცესია, მაგრამ არ მსურს, რომ ასე გაგრძელდეს.

– ესპანელმა ჩისკომ გამოთქვა საქართველოს ნაკრებში თამაშის სურვილი.

– კარგით რა, ხალხნო. რა ჩისკო... გადახედეთ საქართველოს ფეხბურთის ისტორიას, როგორი ფეხბურთელები გვყავდა. რომელ ჩისკოზეა ლაპარაკი. თანაც, წესებით უცხოელი 5 წელი უნდა თამაშობდეს შენს ქვეყანაში, რომ ნაკრებში თამაშის უფლება ჰქონდეს. ეს დრო რომ გავა, ჩისკო თითქმის ჩემი ტოლი იქნება.

– 19-წლამდელთა ნაკრები ელიტ-რაუნდის ჯგუფს ლიდერობს. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში ნიჭიერი ფეხბურთელების ნაკლებობა არაა.



– სასიხარულოა, რომ ასაკობრივი ნაკრებები წარმატებით გამოდიან. ინგლისთან და შოტლანდიასთან ჯამში 4 ქულის აღება მშვენიერი შედეგია. ბოლო მატჩში ბიჭებმა ყველაფერი დადეს მინდორზე და 9 კაცით შოტლანდია დაამარცხეს. ახლა მათ ძალიან მძიმე ჯახი ელით ბელგიასთან. ის გუნდი სახლში თამაშობს და, რა თქმა უნდა, მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს, თანაც ჩვენები შეხვედრას მხოლოდ 13 კაცით ხვდებიან, რაც დიდი დანაკლისია, თუმცა თუ შოტლანდიელებს 9 კაცით მოუგეს, 11-11-ზე თამაში არ უნდა გაუჭირდეთ. იმედი მაქვს, ეს ბიჭები ყველაფერს გააკეთებენ, რომ კიდევ ერთმა გუნდმა მიაღწიოს წარმატებას ახალგაზრდულ დონეზე. აქვე მინდა თბილისის „დინამოს“ ჩემპიონობა და თასის აღება მივულოცო. იმედია, ეს გუნდი ყველაფერს გააკეთებს, რომ ევროტურნირზე იასპარეზოს. რამდენი წელია ჩვენი ქვეყანა სერიოზულ ტურნირს ელოდება. გვინდა ის, რასაც 5.000 კილომეტრის დაშორებით ტელევიზორიდან ვუყურებთ, ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს მინდვრებზეც ვიხილოთ.

– ახალგაზრდა ფეხბურთელების უთამაშებლობის თემაზე ადრე განაცხადეთ: სურვილი გამოთქვით, რომ ქართულ კლუბებში მათ უწევდეთ თამაში და დუბლებში, ან პირველ ლიგაში არ იყვნენ. ეს საკითხი ფედერაციაში კიდევ განიხილება?

– ჩვენ კი გვსურს, მაგრამ კლუბების ნებაც უნდა იყოს. რა გამოდის, 19-წლამდელებისა და 21-წლამდელების ფეხბურთელები ევროპაში წარმატებით გამოდიან, აქ კი, ქართულ გუნდებში თამაში არ უწევთ. გადავხედოთ, რა ხდებოდა 90-იან წლებში. ქინქლაძემ, არველაძეებმა თუ სხვებმა სწორედ აქ დაიწყეს თამაში, საქართველოს ჩემპიონატში მათ ენდობოდნენ და ასე წავიდნენ ევროპაში. ახლა კი, ახალგაზრდა ფეხბურთელებს დაატარებენ უცხოეთში გასინჯვაზე.

– იმიტომ დაატარებენ, რომ აქ არ უწევთ თამაში.

– დიახ, ასეა და ყველაფერი ერთმანეთთანაა კავშირში.

– ბოლოს ისევ მოახლოებულ მატჩებზე. რაც ნაკრების მწვრთნელი გახდით, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჩრდილოეთის გუნდებთან არ გქონიათ შეხვედრა. ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესო არაა ირლანდიასთან და დანიასთან მატჩები?

– დიახ. და რაც მთავარია, ძლიერი მეტოქეები არიან. დანია ის არაა, 80-იან წლებში და 90-იანების დასაწყისში რომ იყო, მაგრამ თქმა რად უნდა, დღესაც ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი ძალაა გრანდებისთვისაც. თანაც, მოედანზე დავალებას მშვენივრად ასრულებენ, სათამაშო დისციპლინა უმაღლეს დონეზე აქვთ. ისე, გვსურდა, რომ მატჩები 1 და 5 ივნისს ყოფილიყო, რათა მეტი დრო გვქონოდა მეორე მატჩისთვის მოსამზადებლად, თუმცა ვერ მოხერხდა.

პრესკონფერენციის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა „ბასაზე“ ივარჯიშა, რომელიც საათნახევარს გაგრძელდა. თავიდან, მსუბუქი მოთელვის შემდეგ ფეხბურთელები ეგრეთ წოდებული „კვადრატებით“ გახურდნენ, შემდეგ კი, ნახევარ მოედანზე „ორკარა“ გააჩაღეს.

ნაკრებში თავდამსხმელი მხოლოდ ნიკა გელაშვილია და „ორკარას“ დროს, მეორე გუნდში ყველაზე წინ „ზესტაფონის“ ნახევარმცველი თორნიკე გორგიაშვილი თამაშობდა. რაც შეეხება გამთამაშებელს, სავარაუდოდ, ჯანო ანანიძე დადგება – მას სხვა ფერის მაისური გადააცვეს და პასების განაწილება დაევალა.

ალექსანდრე კობახიძე:

– შემართებულ განწყობაზე ვართ, ყველაფერი რიგზეა, საკმაოდ რთული მეტოქეები გვყავს, თუმცა არაფერს დავთმობთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ სასურველი შედეგისთვის.

დავით თარგამაძე:

– გუნდში გარკვეული ცვლილებებია, ახალი მოთამაშეები გვყავს, მათ შანსი უნდა მივცეთ, ნაკრებში თავი გამოიჩინონ. მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგური თამაშებია, ირლანდია და დანია ყოველთვის ანგარიშგასაწევი ძალაა.

ზურაბ ხიზანიშვილი:

– ადრე თუ მარტო ლუქსემბურგით, აზერბაიჯანითა და თურქეთით შემოვიფარგლებით, ახლა უკვე ამ დონის ნაკრებებს დავუპირისპირდებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ზრდისთვის, მით უმეტეს, ამდენი ახალგაზრდა მოთამაშე გვყავს. ირლანდია და დანია არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიოს სოლიდური და წამყვანი გუნდები არიან.

მერაბ გიგაური:

– ჩემი ოცნება იყო, რომ ნაკრებში მეთამაშა. რადგან გამომიძახეს, მაქსიმუმს გავაკეთებ, რომ თავი გამოვიჩინო.

საქართველოს ეროვნული ნაკრების 23-კაციანი შემადგენლობა ირლანდიასთან და დანიასთან ამხანაგური მატჩებისთვის ასეთია:

მეკარეები: გიორგი ლორია (დინამო), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), ომარ მიგინეიშვილი (ტორპედო);

მცველები: უჩა ლობჟანიძე (კრივბასი, უკრაინა), ზურაბ ხიზანიშვილი (ქაისერი, თურქეთი), დავით კვირკველია, გულვერდ თომაშვილი (ორივე დილა), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), გიორგი ფოფხაძე (ბაქი, აზერბაიჯანი), აკაკი ხუბუტია (მორდოვია, რუსეთი), სოლომონ კვერკველია (რუბინი, რუსეთი), მამუკა კობახიძე (ალანია, რუსეთი);

ნახევარმცველები: მურთაზ დაუშვილი (კარპატი, უკრაინა“), ჯაბა კანკავა, ალექსანდრე კობახიძე (ორივე დნიპრო, უკრაინა), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), დავით თარგამაძე (ილიჩევეცი, უკრაინა), მერაბ გიგაური (ტორპედო), ირაკლი მაისურაძე (დილა), ირაკლი ძარია (დინამო), დავით დევდარიანი (ორჰუსი, დანია), თორნიკე გორგიაშვილი (ზესტაფონი);

თავდამსხმელები: ნიკოლოზ გელაშვილი (ბოხუმი, გერმანია).

შედეგები

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

თურქეთი-ლატვია	3:3
კანადა-კოსტა რიკა	0:1

ბეიმანია. მე-2 ბუნდესლიგა

პლეი ოუტი

დინამო-ოსნაბრიუკი	2:0

შვედეთი. ალსვენსკა

სირიანსკა-გეფლე	2:2

ირლანდია. პრემიერ დივიზიონი

სტ.პატრიკი-უკ დუბლინი	5:0
სლიგო-დანდალკი	0:1

ჩოგბურთი

ოღიან გახოსი

ოაცები

მაიერი-ისტომინი	6:4;3:6;5:7;0:6
დოდიგი-პელია	6:4;4:6;3:6;6:2;10:12
კოლ შრაიბერი-ვესელი	7:6;1;6;7:5;6:2
ვავრინკა-დე ბაკერი	7:5;6:3;6:7;7:5
ჯოკოვიჩი-გოფინი	7:6;6:4;7:5
ვერდასკო-ჟიკველი	6:2;6:3;6:1

ქალები

ბეკი-ზაჰლავოვა	6:2;6:1
ვიკმაიერი-შმიედლოვა	6:7;6:2;2:6
ჰრადეცკა-ბარტი	5:7;6:2;1:6
კანეპი-ზაკოპალოვა	7:6;6:2
კვიტოვა-რეზაი	6:3;4:6;6:2
ფოგელი-უოტსონი	6:4;2:6;6:4
აზარენკა-ვესნინა	6:1;6:4
კირილენკო-ბრატჩიკოვა	6:0;6:1
პენი-ჯორჯი	6:4;6:2

ჰოკეი

ნჰლ. პლეი ოფი

ლოს ანჯელესი-სან ხოსე	2:1
სერიის ანგარიში:	4:3

„მგზავრებმა“ მესამე ალბომი ჩაწერეს

ეკა ირემაშვილი

ჯგუფმა „მგზავრებმა“ ახალი, რიგით მესამე ალბომი ჩაწერეს, რომლის პრეზენტაციაც 30 მაისს დიდ საკონცერტო

დარბაზშია დაგეგმილი. ალბომის პრეზენტაციასთან ერთად ჩატარდება კონცერტი, რომელზეც ჯგუფის წევრები მსმენელისთვის კარგად ნაცნობ და „მეგობრებო!!! 30 მაისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება ჩვენი სოლო კონცერტი, მესამე ალბომის საკონცერტო პრეზენტაცია. პ.ს. თუ გააზიარებთ ძალიან დაგვეხმარებით :)“, – ასეთი გზავნილით მიმართეს საკუთარ ფანებს „მგზავრების“ წევრებმა.

ჯგუფს გადაღებული აქვს რამდენიმე ვიდეოკლიპი, მისი სახელი დაკავშირებულია მაია ასათიანის „პროფილის“ და პატრულის ჰიმნებთან.

30 მაისს „მგზავრების“ მიერ დაგეგმილ კონცერტზე ბილეთები არ იყიდება. მათი შემოქმედების მოყვარულებს კონცერტზე მოხვედრა მხოლოდ მოსაწვევებით შეეძლებათ.

ხარაგაულის თეატრი საგასტროლოდ ბულგარეთში მიდის

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

იყო ჰეიოდი, ოცა თეატრის ფუნქცია განუზომლად აღემატებოდა დღევანდელ სახელოვნებო სფეროების დატვირთვას და საზოგადოებრივი ლოკომოტივის როლსაც ასრულებდა. ჩვენს დროში თეატრის ჰოპულარობის დაკარგვას მრავალი მიზეზი აქვს, მაგრამ თეატრი მხოლოდ მაღალესთეტიკური საზოგადოებისთვის განკუთვნილი ხელოვნებაა. მას არ აქვს მასკულტურული, დროებით ეფექტური შინაარსი და ალბ მთავარია, დროს უძღებს.

ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის შესახებ მინდა გიამბოთ ამჯერად. 1910 წელს სპირიდონ კიკნაძის ეზოში გაიმართა წარმოდგენები, რომლის სულისჩამდგმელებიც იყვნენ ხარაგაულელი მოქალაქეები შალვა ხარაძე და ასკალონ ლომსაძე. ეს ადამიანები ცდილობდნენ ნიჭიერი ადამიანების შემოკრებას თეატრალურ დასში, რადგან იმდროინდელ ხარაგაულში თეატრალურ წარმოდგენებს არ ჰქონდათ მხოლოდ წმინდა სახელოვნებო დანიშნულება. მაშინდელი თეატრი სოციალური და პოლიტიკური აქტივის ფუნქციას ასრულებდა. მოყვარული მსახიობების გვერდით ხარაგაულელთა სპექტაკლებში მონაწილეობდნენ შალვა დადიანი, მარო მდივანი, ვასო ურუშაძე, გრიგოლ ჩარკვიანი და ვასო აბაშიძე.

პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ვლადიმერ მაჭავარიანი იხსენებს, რომ ხარაგაულში სხვადასხვა როლები შეუსრულებიათ ქართული თეატრის ვარსკვლავებს, ვერიკო ანჯაფარიძესა და მიხეილ ჭიაურელს. სხვათაშორის, მახსოვს, რომ ხარაგაულის ერთ პატარა სოფელში, იგორეთში, ამაყობდნენ, რომ დები იშხნელების კონცერტი ,,ლაიკში“ ჰქონდათ მოსმენილი.

ხარაგაულში მე-20 საუკუნის 20-იან წლებში სცენისმოყვარეთა დასს რკინიგზის კლუბში ჰქონდა ადგილსამყოფელი. დასს ხელმძღვანელობდა კლუბის გამგე ნოე აბაშიძე. 30-იანი წლებიდან თეატრალური დასი უკვე მუდმივმოქმედი გახდა და 1943-1947 წლებში სახელმწიფო თეატრის სტატუსი ჰქონდა. 1947 წელს სახელმწიფო თეატრი გაუქმდა, მაგრამ მოყვარულთა კოლექტივი აგრძელებდა მოღვაწეობას, რის საფუძველზეც 1959 წელს სახალხო თეატრის წოდებაც მიენიჭა.

იმის გამო, რომ სახალხო თეატრის პირველი რეჟიორი რესპუბლიკის დამსახურებული რეჟისორი ოთარ აბაშიძე იყო, ამიტომ თეატრი მის სახელს ატარებს. ო. აბაშიძე არა მარტო კარგი რეჟისორი, არამედ შესანიშნავი მსახიობიც იყო და საინტერესო როლებიც გააცოცხლა სცენაზე. 1967 წლიდან თეატრს სათავეში ჩაუდგა თამაზ კიკნაძე, რომლის ხელმძღვანელობისას პ. კაკაბაძის, დ. კლდიაშვილის, რ. ერისთავის პიესებს დაუდგამთ.

ერთ-ერთი განსაკუთრებული მიღწევა თეატრს მოუტანა 1990 წელს დადგმულმა „დარისპანის გასაჭირმა“(გრან-პრი დაიმსახურა საკავშირო თეატრალურ ფესტივალზე). კომუნისტურ ეპოქაში თეატრს ჰქონდა საგასტროლო გასვლები დიდ ქალაქებში.

2004 წლიდან ხარაგაულის თეატრს ხელმძღვანელობს ირინე ჩხეიძე, რომლის ხელმძღვანელობითაც დაიდგა ,,ნატვრის ხე“, ,,ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“, ,,თანამდევი სული“, ,,და დროც გაჩერდება“.

,,ახალ თაობასთან“ საუბარში ქალბატონმა ირინამ განაცხადა: ,,სპექტაკლი ,,თანამდევი სული“, რომელმაც თეატრს განსაკუთრებული წარმატება მოუტანა, 2007 წელს დაიდგა და მიეძღვნა ილია ჭავჭავაძის 170 წლისთავს. 2009 წელს სპექტაკლი ნაჩვენები იქნა ქ. ბათუმში საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ გამართულ კვირეულზე. 2010 წელს სპექტაკლი ნაჩვენები იქნა ყვარელში. 2012 წელს სპექტაკლი გაიმართა ქ.თბილისში.

2012 წლის ივნისში ქ.ქუთაისში გაიმართა იმერეთის თეატრალური ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღო იმერეთის მხარის ყველა მუნიციპალიტეტის თეატრმა. ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა ფესტივალზე წარმოადგინა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი სპექტაკლი ,,თანამდევი სული“. (სცენარის ავტორი და რეჟისორი ირინე ჩხეიძე გახლავთ) აღნიშნულმა სპექტაკლმა ფესტივალის მთავარი ნომინაცია ,,საუკეთესო სპექტაკლი“ მოიპოვა“.

განსაკუთრებულად წარმატებული თეატრისათვის 2013 წელი აღმოჩნდა. წელს, 26 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით, თურქეთის რესპუბლიკის ქ.ქემერში მიმდინარეობდა თეატრალური ფესტივალი, რომლის ორგანიზატორები იყვნენ ქ.ქემერის კულტურის განყოფილება, კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირი ,,ჰარმონია“ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთეატრ-სტუდია ,,მოდი-ნახე“. აღნიშნულ ფესტივალში ხარაგაულის სახალხო თეატრმა ,,გრან-პრი“ დაიმსახურა და თეატრი მიწვეულ იქნა ბულგარეთში, თეატრალურ ფესტივალზე, რომელიც გაიმართება მიმდინარე წლის 27 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით.

იმედია, რომ ხარაგაულის სახალხო თეატრი მოახერხებს ბულგარეთში გამგზავრებას, რათა კიდევ ერთხელ შეძლოს ქართული კულტურის წარმოჩინება და გამარჯვებით დაბრუნება.

„ქუჩის მუსიკალური დღეები“ მარჯანიშვილის მოედანზე მოეწყობა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ები, იპოვონ ფესტივალის ბილეთები, რომელიც ივენთის ტერიტორიაზეა დამალული, ბოდი-არტის სპეციალისტები „ქუჩის მუსიკალური დღეები“-ს სტუმრებს ფესტივალის ლოგოებით გაფორმებენ, კაფე კი უფასო ყავით გაუმასპინძლდება. ლაივ-პერფომანსების სერია 3 დღის განმავლობაში მოიცავს იმ არტისტებსა და ჯგუფებს, ვისაც საშუალება ჰქონდა ფესტივალის 4 წლიან ისტორიაში უცხოელი ბენდების გვერდით დიდ სცენაზე დაეკრა. ჩვენი მიზანია 3 დღით დინამოს მოედნიდან მარჯანიშვილზე გადმოვიტანოთ ის განწყობა, რომელიც ფესტივალს ახასიათებს – თავისუფლება და პოზიტიური მუხტი. გვინდა, რომ ყველა ასაკის ადამიანი რამდენიმე დღით „თბილისი ოფენ ეარ“-ის განწყობამ გააერთიანოს.

პროექტის ორგანიზატორთა მიერ პროგრამა უკვე გაწერილია: პირველ დღეს ფოტოგრაფების მხრიდან ღონისძიებაზე გამვლელების მიპატიჟებას ჰქონდა ადგილი, ცოცხლად დაუკრა ჯგუფმა „ბალუნ შუთერს“.

30 მაისს მოეწყობა გიტარიანი ხალხის პერფორმანსი, რაც გულისხმობს გამვლელებთან მისვლას, ჯგუფი ჯეთ ბიორდსი კი პერფორმანსს მოაწყობს.

31 მაისს პროექტში ჩართვას გამვლელებს უკვე სულ სხვა ჯუგფები შესთავაზებენ. ამ დღეს მაათან ერთად იქნება ბითბოქსერი.

– სამივე დღის განმავლობაში გამვლელებს საშუალება ექნებათ ამავე ტერიტორიაზე დამალული ბილეთები იპოვონ, თან მიირთვან უფასო ყავა, გადაიღონ სამახსოვრო ფოტო და ეზიაროს ბოდი არტისტების აკადემიას, – განმარტავს სოფიო ებრალიძე.

„თბილისი ოფენ ეარი 2013“ კომპანია „ალთერვიიუენ გრუფის“ ყოველწლიური საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალია, რომელიც 2009 წლიდან ტარდება. ფესტივალის 5-წლიან ისტორიაში მუსიკალური პროგრამა წელს კიდევ უფრო მრავალფეროვანი და მასშტაბურია.

როგორც ფესტივალის ხელმძღვანელი აჩიკო გულედანი აღნიშნავს, მთლიანობაში იგი 50.000-ზე მეტ სტუმარს ელოდება.

– ამ ფესტივიალის კეთება 2009 წლიდან დავიწყეთ. ჩვენი მიზანი იყო, რომ ნელ-ნელა მივსულიყავით დიდ ვარსკვლავებამდე. წელს ჩვენ ეს შევძელით. ყველაზე საინტერესო „თბილისი ოფენ ეარ 2013“-ის სტუმარია დიფ ფარფლი, თუმცა საზოგადოება დანარჩენი ბენდების გამოცხადებასაც დიდი ოვაციებით შეხვდა.

ამჯერად სრულიად საქართველო „თბილისი ოფენ ეარის“ ეგიდით, „დიფ ფარფლის“ მოლოდინშია. კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 40-დან 200 ლარამდეა. ამ ფასში შედის როგორც ფეხზე დასადგომი, ასევე დასაჯდომი ბილეთები. ასევე შეზღუდული რაოდენობით გაიყიდება ვიაიპი ბილეთები, რომელთა ფასიც 250-დან 500 ლარამდეა.

ეკა ირემაშვილი

თბილისი საბავშვო სპექტაკლების ფესტივალს უმასპინძლებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ზე. სპექტაკლებზე დასწრება თავისუფალია, – აღნიშნავს ლაშა ჩხარტიშვილი.

მისივე თქმით, თურქეთის და სომხეთის თეატრები საკმაოდ საინტერესო სპექტაკლებით ჩამოდიან თბილისში.

– ოვანეს თუმანიანის სახელობის სომხეთის თოჯინების სახელმწიფო თეატრი ერთ-ერთი ყველაზე დიდი თოჯინების თეატრია, რომელიც სომხეთში გამორჩეულია ბევრ სხვა კულტურულ და ისტორიულ ღირებულებებთა შორის. ეს თეატრი პოპულარულია არა მხოლოდ ბავშვებში, არამედ უფროსი თაობის მაყურებელშიც. თეატრი დაარსდა 1935 წელს, ამ პერიოდის მანძილზე თეატრმა დაახლოებით 300-მდე ახალი სპექტაკლი შესთავაზა თავის ერთგულ მაყურებელს, რომელსაც 1975 წლიდან აქვს საკუთარი შენობა ერევნის ცენტრში, საიათნოვას ქუჩაზე. თეატრს აქვს დიდი და მცირე დარბაზები. 1998 წლიდან თეატრს ხელმძღვანელობს სომხეთის ხელოვნების დამსახურებული არტისტი, პროფესორი რუბენ ბაბაიანი, რომელმაც დადგა მრავალი სპექტაკლი ბავშვებისა და მოზარდებისთვის.

რაც შეეხება თბილისის მეორე სტუმარს, სტამბულის ხის ჩარჩოს თოჯინების თეატრი შედარებით ახალგაზრდაა და ის 12 წლის წინ დაარსდა.

– ხის ჩარჩოს თოჯინების თეატრი დაარსდა 2001 წელს, რათა წარმოედგინა ხელოვნება მიმდინარეობათა ხაზებს შორის. არა რეალისტური, არა სიმბოლისტური ან სიურეალისტური. ყველა მიმართულება თავმოყრილია ერთ ობიექტში, რათა რეალობიდან მიაღწიოს ილუზიას და ილუზიიდან რეალობას. თეატრის დამაარსებლები არიან ჩაღრი ილმაზი და ემრე ტანდოგანი. ისინი მუშაობდნენ რამოდენიმე თეატრსა და მუსიკალურ პროექტში, როგორც შემსრულებლები, რეჟისორები, მეთოჯინეები თურქეთსა და მის ფარგლებს გარეთ. ამავდროულად მუშაობდნენ როგორც თოჯინების შემქმნელნი და რეჟისორები სახელმწიფო თეატრისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დირექტორები, აწყობდნენ ვორქშოპებს სხვადასხვა საკითხებზე. ისინი კვლავაც განაგრძობენ მუშაობას სტამბულში. ხის ჩარჩოს თოჯინების თეატრი 2006 წლის იანვრიდან არის უნიმას წევრი. ემრე ტანდოგანი არის უნიმა სტამბულის ერთ-ერთი დამფუძნებელი. თეატრს მონაწილეობა აქვს მიღებული უამრავ საერთაშორისო თოჯინურ ფესტივალში – სტამბულში, ტრაპზონში, ანკარაში, სერბეთში, ჩინეთში, საფრანგეთში, პაკისტანში, იერუსალიმში და პრაღაში, – აღნიშნავს ლაშა ჩხარტიშვილი.

ეკა ირემაშვილი

საქართველოს პრეზიდენტი შესაძლოა რუსეთის მოქალაქეც გახდეს

საქართველოს კონსტიტუციაში მოსალოდნელ ცვლილებებს სტატიას უძღვნის რუსული „იზვესტია“. მასალას შემოკლებით გთავაზობთ:

– პარტია „ქართული ოცნებამ“ განაცხადა, რომ უკვე ამ კვირაში პარლამენტში შეიტანს კანონპროექტს საკონსტიტუციო შესწორებებზე, რომლის მიხედვითაც ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები უმაღლესი სახელმწიფო პოსტების – პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის და პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობების დაკავებას შეძლებენ. ახლა ეს კანონით აკრძალულია. ოპოზიცია შიშობს, რომ თეორიულად ეს შესაძლებელს ხდის, რომ საკვანძო თანამდებობა დაიკავოს რუსეთის მოქალაქემ, რომელთანაც საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვეტილი აქვს.

იურიდიულ საკითხებში საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელმა ვახტანგ ხმალაძემ დაადასტურა, რომ მართლაც იგეგმება მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებით გარკვეული ცვლილებების შეტანა.

– ცვლილებებს ძალიან მალე, ამ დღეებში შევიტანთ, – განუცხადა მან „იზვესტიას“.

ამავე დროს, დეპუტატმა ვერ დაასახელა ზუსტი ვადები, რომელშიც შესწორებები მიღებული იქნება. საქმე იმაშია, რომ საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით, „ქართულმა ოცნებამ“ 85 მანდატი მიიღო, ხოლო ძირითად კანონში ნებისმიერი ცვილებისთვის როგორც მინიმუმი საჭიროა 100 ხმა, საერთო 150-დან. ანუ მმართველმა პარტიამ უნდა შეაგროვოს როგორც არჩევნების შემდეგ ნაცმოძრაობისგან გამოყოფილი 12 დეპუტატის ხმა, ასევე მიხეილ სააკაშვილის ახლანდელ მომხრეთა ნაწილის ხმებიც.

ეს არ არის პირველი ცვლილება, რომელიც ქვეყის უმაღლესი თანამდებობის პირე-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ფილიპინებსა და ინდონეზიაში მზარდი „პურის ხე“-დ წოდებული ტროპიკული მცენარე; 2. ბარიტის საბადო რაჭაში; 3. გასუფთავებული ნატეხი შაქარი; 4. დეტექტიური ჟანრის ფუძემდებლად მიჩნეული ამერიკელი მწერალი; 5. რამდენიმე ქვემეხის ერთდროული ხშირი სროლა; 6. მატყლის სართავი, უმარტივესი ბზრიალა ხელსაწყო; 7. ეკლესია თბილისში; 10. ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული; 11. მოულოდნელი საჩუქარი, სასიამოვნო ამბავი; 12. სუპერმარკეტების მფლობელი მსოფლიოში უმსხვილესი ამერიკული ფირმა; 13. ბერძნული ყველი; 16. ომის დროს მოპოვებული სამხედრო ქონება, ნადავლი; 18. შებოლილი ძეხვი; 19. რაიმეს სპეციალურად შერჩეული ნარევი, ნაკრები; 21. წყნარი, უქარო ამინდი ზღვაზე; 24. მაგიდა საფურგლო სამუშაოებისათვის.

თარაზულად: 1. ცირკის მასხარა; 3. ავი, ანჩხლი დედაკაცი; 8. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 9. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური იაპონიაში; 14. ხმაურიანი ბრბო; 15. ტბა სომხეთში; 17. ბილიარდის მაგიდის ნაწილი; 20. ტელეგრაფით გაგზავნილი სასწრაფო შეტყობინება; 22. ქართველი მეცნიერი, ჰუმბოლდტის პრემიის ლაურეატი; 23. ნიჩბოსანთა ნავის მოძრავი სკამი; 25. სოფელი წალენჯიხის რაიონში; 26. ხერესის მარკის ესპანური ღვინო; 27. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 28. პატარა ზარი.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ქოქოსი; 2. ფატუმი; 3. იუანი; 5. ბაკი; 6. ქართლი; 8. ზაპესი; 11. რქაწითელი; 13. ვაუჩერი; 14. მერიოტი; 15. ჰამლეტი; 19. პაბი.

თარაზილად: 1. ქსენოფობია; 4. თამბაქო; 7. ქსილიტი; 9. ნოკაუტი; 10. გრემი; 12. გრეიდერი; 16. დისკუსია; 17. მუხიანი; 18. ბიდსტრუბი; 20. ლორნეტი; 21. ფიცი; 22. სერფინგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სუში; 2. ონი; 3. ხოზაფინი; 4. სი; 5. კომერცია; 6. სუვა; 7. ჟინვალი; 10. ბუტი; 11. საფიჩხია; 12. კორონაცია; 13. პონი; 16. ალუპკა; 18. ფოლორცი; 19. ალონსო; 21. სანტე; 24. რუპია.

თარაზულად: 1. სანახშო; 3. ხერესი; 8. ხორუმი; 9. შობა; 14. სტეკა; 15. დოკერი; 17. ფუჯი; 20. ნუნისი; 22. ილორი; 23. ლაჩარი; 25. ოდა; 27. სოია; 26. პერო; 28. პედიატრია.

აშშ სირიაში იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს მოხსნას უჭერს მხარს

ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს ევროკავშირის გადაწყვეტილებას სირიელი ამბოხებულებისთვის იარაღის მიწოდების შესახებ ემბარგოს გაუქმების საკითხთან დაკავშირებით. ამის შესახებ ინფორმაციას ბი-ბი-სი ავრცელებს.

ოფიციალური ვაშინგტონის განცხადებით, ემბარგოს მოხსნა საშუალებას მისცემს რიგ ქვეყნებს, სურვილის შემთხვევაში, აუცილებელი მხარდაჭერა აღმოუჩინონ სირიელ მეამბოხეებს.

ამასთან, სახელმწიფო დეპარტამენტი მკაცრად აკრიტიკებს რუსეთის ფედერაციის გადაწყვეტილებას, სირიისთვის სარაკეტო კომპლექტების ეს-300 მიწოდების თაობაზე. მოსკოვის განცხადებით, სარაკეტო კომპლექტები დაეხმარება ოფიციალურ დამასკოს, თავიდან აირიდოს საგარეო ინტერვენცია.

ამერიკის შეერთებული შტატები ამ დრომდეც აქტიურად უჭერდა მხარს სირიის ოპოზიციას, თუმცა ქვეყანაში იარაღი არასდროს შეუტანია.

რუსეთმა განაცხადა, რომ იგი სირიაში სარაკეტო კომპლექსებს „ეს 300“ გააგზავნის, რომლებიც დამასკოს საშუალებას მისცემს უცხო ქვეყნის ინტერვენციას წინააღმდეგობა გაუწიოს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის სერგეი რიაბკოვის თქმით, რაკეტები სტაბილიზაციის ფაქტორია, ვინაიდან ზოგ ზოგიერთებს არ მისცემს საშუალებას ჩაერიოს ამ კონფლიქტში. ინფორმაციას ამის შესახებ ბი-ბი-სი ავრცელებს.

რუსეთი ასევე კრიტიკულად განეწყო ევროკავშირის გადაწყვეტილების მიმართ არ გაგრძელებულიყო იარაღის მიწოდებაზე ემბარგო სირიის ოპოზიციისათვის.

„ევროკავშირი ფაქტობრივად ცეცხლზე ნავთს ასხამს და ამცირებს სირიის საკითხზე პოლიტიკური დარეგულირებისკენ მიმართული კონფერენციის ჩატარების შანსებს, რომლის ჩატარებაც წესით მათ ინტერესებში უნდა იყოს“, – განაცხადა სერგეი რიაბკოვმა.

რუსეთის წარმომადგენელი ნატოში ალექსანდრე გრუშკო აცხადებს, რომ მისი ქვეყანა საერთაშორისო სამართლის ნორმების სრული დაცვით მოქმედებს.

„იარაღი, რომელსაც ჩვენ სირიას მივაწვდით – თავდაცვითია“, – აცხადებს გრუშკო.

ამავე დროს ისრაელის თავდაცვის მინისტრი მოშე იალონი აცხადებს, რომ სარაკეტო კომპლექსები „ეს-300“ ჯერ-ჯერობით რუსეთშია.

„იმედი მაქვს, რომ ისინი იქვე დარჩებიან, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას ისინი სირიაში ჩავიდნენ. ჩვენ ვიცით რა უნდა ვქნათ“, – აცხადებს მინისტრი.

შეგახსენებთ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ სერგეი რიაბკოვმა რადიოეთერში საუბრისას განაცხადა, რომ მოსკოვისა და ვაშინგტონის შეხედულება სირიის კონფლიქტთან დაკავშირებით, კვლავ განსხვავებულია. როგორც ცნობილია, მალე ჟენევაში სირიის შესახებ კონფერენცია უნდა გაიმართოს.

„ჩვენ ჯერ არ მივსულვართ იმ წერტილამდე როცა შესაძლებელია თქმა, რომ ამ კონფერენციის მონაწილე ქვეყნების შეხედულება სირიის კონფლიქტის მოგვარების გზებთან დაკავშირებით დაახლოვდა“,-განაცხადა დიპლომატმა.

რიაბკოვმა მწუხარება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთს არ სურს კონფერენციაში ირანმა მიიღოს მონაწილეობა. მისი თქმით, ირანის მონაწილეობით კონფერენცია უფრო წარმატებული გახდებოდა.

ამ ფონზე, გაეროს ადამიანის უფლებების საბჭო ჟენევაში სირიის შესახებ საგანგებო დებატებს გამართავს.

ბი-ბი-სის ცნობით, წევრი ქვეყნები რეზოლუციის მიღებას განიხილავენ, სადაც ქუსეირში უცხოელი მებრძოლების ყოფნას დაგმობენ. ამ ქალაქში, როგორ ცნობილია, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა ბრძოლები.

გაეროს ადამიანის უფლებების ორგანო რეზოლუციის მიღებას გეგმავს, სადაც სირიის მთავრობა ქუსეირში „უცხოელი მებრძოლების გამოყენების“ გამო იქნება დაგმობილი. „უცხოელ მებრძოლებში“ „ჰეზბოლას“ წევრები იგულისხმებიან, რომლებიც პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის არმიის მხარეს იბრძვიან.

მასთან, ადამიანის უფლებების საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალა არ აქვს, რომ მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს შეუძულია, მაგალითად, ქუსეირში სამშვიდობოების დაშვება მოითხოვოს.

ჩრდილოეთ კორეა სამხრეთ კორეელ ბიზნესმენებს კესონში დაბრუნებას სთავაზობს

ფხენიანის განცხადებით, კესონის ინდუსტრიულ ზონაში სამხრეთ კორეელი ბიზნესმენების დაბრუნების წინააღმდეგი არ არის. გავრცელებულ განცხადებაში საუბარია, რომ ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება მზადაა სამხრეთ კორეასთან ამ ზონაში სამუშაოების განახლებაზე გამართოს მოლაპარაკება. შეგახსენებთ, რომ კესონის ინდუსტრიულ ზონაში სამუშაოები აპრილში შეჩერდა, როდესაც ჩრდილოეთ კორეამ აქედან მუშები გაიწვია. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა კი განსაკუთრებით წლის დასაწყისიდან გამწვავდა, როდესაც ჩრდილოეთ კორეამ მესამე ბირთვული ცდა ჩაატარა.

შეგახსენებთ, რომ ჩრდილოეთ კორეამ სამხრეთ კორეასთან საერთო ინდუსტრიული ზონა აპრილის დასაწყისში ჩაკეტა და სამხრეთ კორეელ სპეციალისტებს ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალა. ეს საგანგაშო სიგნალი იყო, რაც ორ კორეას შორის კრიზისს უკავშირდებოდა. ფხენიანმა განაცხადა, რომ ის აჩერებს სამხრეთ კორეელების შეშვებას კესონის ინდუსტრიულ კომპლექსში, ამასთანავე ის კომპლექსში მყოფ სამხრეთ კორეელებს ტერიტორიის დატოვების საშუალებას მისცემს.

სეული შიშობდა, რომ თუკი სამხრეთ კორეელ სპეციალისტებს კესონის დატოვების უფლება მალე არ მიეცემოდათ, ისინი საკვების გარეშე დარჩებოდნენ. უნიფიკაციის სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, სეულისთვის სამხრეთ კორეელის სპეციალისტების უსაფრთხოება ყველაზე პრიორიტეტულია.

„ჩრდილოეთ კორეის გადაწყვეტილება ინდუსტრიული ზონის შეჩერების შესახებ, ეს არის დაბრკოლება ზონის სტაბილურად ფუნქციონირებისთვის. ჩვენ მოვუწოდებთ ჩრდილოეთს, დაუყოვნებლივ აღადგინოს კესონის ზონაში ნორმალური რეჟიმი“, – განაცხადა მაშინ სამხრეთ კორეის წარმომადგენელმა კიმ იონ სეოკმა.

ქალაქი კესონი დემილიტარიზებული ზონის ჩრდილოეთით მდებარეობს. აქ სამხრეთ კორეელების ასობით საწარმო მუშაობს, სადაც ჩრდილოეთ კორეელი მუშები არიან დასაქმებული.

პაკისტანში უპილოტო თვითმფრინავიდან განხორციელებულ იერიშს 4 ადამიანი ემსხვერპლა

პაკისტანის უსაფრთხოების სამსახურების განცხადებით, ჩრდილო ვაზირისტანში ამერიკული უპილიტო საფრენი აპარატიდან განხორციელებულ იერიშს სულ მცირე ოთხი ადამიანი ემსხვერპლა.

მათი თქმით, რაკეტა ქალაქ მირანშაჰში სახლთან ახლოს ჩამოვარდა. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა იერიში უკვე დაგმო: „ნებისმიერი მსგავსი თავდასხმა პაკისტანის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ არის მიმართული და ჩვენ მას ვგმობთ“.

უცნობია დაიღუპნენ თუ არა თავდასხმის შედეგად შეიარაღებული მებრძოლები.

აღნიშნული შემთხვევა პირველია მას შემდეგ, რაც მაისის დასაწყისში ქვეყანაში საყოველთაო არჩევნები ჩატარდა. 2011 წლის აგვისტოში უპილოტო მოწყობილობის შეტევის დროს, ასევე ქალაქ მირანშაჰთან ოთხი ადამიანი გარდაიცვალა. მაშინ პაკისტანის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ დაღუპულები შეიარაღებული დაჯგუფება „ჰაკანის“ წევრები იყვნენ.

ამერიკის შეერთებულ შტატებს უპილოტოების გამოყენების გამო უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში მკაცრად აკრიტიკებენ. ამის გამო, ქვეყნის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ვაშინგტონის თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში სტუდენტებთან შეხვედრისას, უპილოტოების თემას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო და განაცხადა, რომ უთანაგრძნობს იერიშების შედეგად დაღუპულ მშვიდობიან მოსახლეობას. ბარაკ ობამამ შეხვედრაზე ასევე აღნიშნა, რომ უპილოტოების გამოყენება მინიმუმამდე შემცირდება 2014 წლის ბოლომდე.

საქართველოს პრეზიდენტი შესაძლოა რუსეთის მოქალაქეც გახდეს

დასაწყისი მე-10 გვერდზე

ბის მოქალაქეობას უკავშირდება. შარშან, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, პარლმენტმა მიიღო უპრეცენდენტო გადაწყვეტილება და პრეზიდენტის თანამდებობაზე და პარლამენტში კენჭისყრის უფლემა მისცა პირებს, რომლებსაც არ აქვთ საქართველოს მოქალაქეობა; მაგრამ ამასთან ქვეყანაში დაბადებულნი არიან და ევროკავშირის ქვეყნების პასპორტს ფლობენ. ეს დროებითი გადაწყვეტილებაა 2014 წლის პირველ იანვრამდე მიიღეს ოპოზიციის მაშინდელი ლიდერის ბიძინა ივანიშვილისთვის, რომელსაც საა.კაშვილმა ქართული მოქალაქეობა ჩამოართვა. მომავალმა პრემიერმა მანამდე დააბრუნა რუსული პასპორტი, მაგრამ შეინარჩუნა ფრანგული, რადგან საერთოდ მოქალაქეობის გარეშე საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელობა დაუშვებელია.

საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წევრმა ვახტანგ ძაბირაძემ „იზვესტიას“ განუმატა, რომ მმართველი კოალიცია იძულებულია მიიღოს გარკვეული ზომები „ბიძინა ივანიშვილის ფაქტორის“გათვალისწინებით. მისი თქმით, 2014 წლის პირველი იანვრის მოახლოებასთან ერთად შეიძლება მომწიფდეს კრიზისული სიტუაცია, რადგან ცვლილების გარეშე ახლანდელი პრემიერი საკუთარ თანამდებობას ვერ დაიკავებს.

– აბსურდული სიტუაციაა, ამიტომ, „ქართული ოცნება“ იძულებულია აქედან გამოსავალი ეძებოს“, – ამბობს ძაბირაძე.

თავის მხრივ, საკონსტიტუციო სამართლის საკითხებში ექსპერტი ავთანდილ დემეტრაშვილი მოსაზრებას გამოთქვამს, რომ ეს შესწორებები ხიფათს შეიცავს.

– წარმოვიდგინოთ, რომ პრეზიდენტი გახდება ვიღაც, რომელსაც აქვს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობაც, რომელთანაც საქართველოს დაძაბული ურთიერთობები აქვს. ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა! ეს ქვეყნის სუვერენიტეტისთვის პრობლემებს შეიცავს. უმაღლესი სახელმწიფო და პოლიტიკური თანამდებობები მხოლოდ საქართველოს მოქალაქემ უნდა დაიკავოს“, – განუცხადა მან „იზვესტიას“.

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორმა ირაკლი კობახიძემ დააზუსტა, რომ ყველაზე დიდი რისკი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს ხელმძღვანელობაში შეიძლება რუსეთის ფედერაციის მოქალაქე აღმოჩნდეს.

– ჩვენ რუსეთთან კონფლიქტი გვაქვს და მხოლოდ ეს მაგალითი საკმარისია ვთქვათ, როგორი შეიძლება იყოს ეს საფრთე“, – აღნიშნავს ის.

თუმცა ეს ექსპერტი აღიარებს, რომ „აუცილებელია რაღაც შეიცვალოს ნორმასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის ქვეშევრდომობის მქონე საქართველოს არამოქალაქე პირს, შეუძლია თანამდებობა დაიკავოს ან კენჭი იყაროს მხოლოდ 2014 წლის პირველ იანვრამდე.

ამ ფონზე, პრეზიდენტის მომხრე პარტიამ უკვე განაცხადა, რომ კანონპროექტის წინააღმდეგ ხმას მისცემს.

– ერთიანი ნაციონალური მოძრაობა საქმის კურსშია, რომ საკითხი ინიცირებულია, მაგრამ მის მხარდაჭერას არ აპირებს. ჩვენი აზრით, პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის და პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობები არ უნდა დაიკავოს მოქალაქემ, რომელსაც საქართველოს გარდა, იურიდიული ან მორალური ვალდებულებები სხვა სახელმწიფოს წინაშეც აქვს. მით უმტეს, რომ მომავლისთვის არის საშიშროება, რომ მეორე მოქალაქეობა რუსული იქნება“, – განუცხადა „იზვესტიას“ პალამენტის დეპუტატმა ნუგზარ წიკლაურმა.

პარლამენტარის თქმით, „ცვლილებები „ქართულ ოცნებას“ მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რომ ბიძინა ივანიშვილს ნებისმიერ შემთხვევაში სურს საფრანგეთის მოქალაქეობის შენარჩუნება, რათა პოლიტიკური მოღვაწეობის დასრულების შემდეგ ევროპაში გადაბარგების შესაძლებლობა ჰქონდეს“.

ადრე საა.კაშვილის მთავრობაში იყვნენ მინისტრები, რომელთაც ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდათ. მაშინდელი ოპოზიცია განსაკუთრებით აკრიტიკებდა საგარეო უწყების ხელმძღვანელს, გრიგოლ ვაშაძეს, რომელსაც რუსეთის პასპორტიც ჰქონდა. ის დიდი ხნის განმავლობაში მასზე უარს არ ამბობდა, მაგრამ მერე იძულებული გახდა ეს გაეკეთებინა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ევროპული სასწავლო უნივერსიტეტის რექტორატი და პროფესორ-მასწავლებლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ყოფილი რექტორის, შოთა ვეშაპიძის დედის

ელენე ნანუაშვილი-ვეშაპიძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური უზენაესი საბჭო, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, იურიდიული კომისიის წევრი, ეროვნულ-ლიბერალური კავშირის წევრი

ვიქტორ პეტრეს ძე დომუხოვსკი

საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური უზენაესი საბჭო, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

ხუთშაბათი 30 მაისი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 17.00 დ/ფ „სიცოცხლე„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული და ჯურისძიება„ 21.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 სპორტული თოქ-შოუ: „არენა„ 00.00 მხ/ფ „დაუპატიჟებელი სტუმრები„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„. 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 6 ნაწ. 14.00 დ/ფ „მუზეუმის საიდუმლეობანი„ 2 ნაწ. 16.00 დ/ფ „ელიოტ ნესი ალკაპონეს წინააღმდეგ„ 22.00 „არგუმენტების დრო„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „ყველაზე ლამაზი გრძნობა„ (მ.პფაიფერი) 00.40 მხ/ფ „დედოფალი მარგო„ (ვ.პერესი) 03.05 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ქალა„ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „საბრალონი„ I სერ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.35 დოკ/ფ „ხიდი„ 11.15 დოკ/ფ „ჩემი ქვეყანა„ 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „თუში მეცხვარე„ I სერ. 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 კონცერტი - ანს.„ბამული„ 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „თუში მეცხვარე„ II სერ. 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.25 დოკ/ფ „უბისა„ 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ/ფ „ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა„ 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „საბრალონი„ II სერ.

მაესტრო 7.00, 3.00, 5.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00, 1.00 ახალი ამბები 11.00 კვირის აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50 თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები„ (გამ.) 14.30, 22.20, 0.30 მაგთიფანი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 მაგთიფანი კონცერტი (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბ. აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30, 5.00 „ყოველდღიური აბები„ 23.00, 3.30 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

30 მაისი

- აშშ დოლარი — 1,6351
- ევრო — 2,1168
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,4744
- 100 რუსული რუბლი — 5,2235

ამინდის პროგნოზი 30 მაისისთვის

29 მაისიდან

ჟურნალ „სარკესთან“

ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 3

ბრაზილიური ზღაპრები

უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

ტომი 2. ჩეხური ზღაპრები

გამოსაცემად მზადდება:

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები

ASTROPROGNOZI 30 მაისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

ვერძი — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კერო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **ლომი** — გადაიხალისეთ გარდერობი, საქმიანი შეხვედრა გელით. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, თქვენთვის იყავით. **სასწორი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ღრიანკალი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — გადაამოწმეთ ინფორმაცია, ყველას ნუ ენდობით. **მერწყული** — მშვენიერი დღეა, კარგ ხასიათზე ხართ. **თევზები** — მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რაც აუცილებელია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოოდი 2

შვეულად: 1. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 2. მე-18-19 საუკუნის ცნობილი ფრანგი დიპლომატი, სახელმწიფო მოღვაწე; 3. რაიმე დაავადების დამახასიათებელ სიმპტომთა ერთობლიობა; 4. სწრაფმავალი, მოტორიანი სპორტული ნავი; 5. მდინარე ტოკიოში; 9. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 11. ძვირფასი თვლებით შემკული ქალის გვირგვინი; 12. დაღესტნის მკვიდრი მოსახლეობა; 14. რაიონული ცენტრი იმერეთში; 18. ომის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 19. კუნძული წყნარ ოკეანეში, სადაც განთავსებულია ამერიკის სამხედრო, საზღვაო, საჰაერო ბაზა.

თარაზულად: 4. მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი; 5. ჩინური ფაიფური; 6. ოპერა „რიგოლეტოს“ პერსონაჟი; 7. ხელოვნურად გამომშრალი და ფხვნილად ქცეული, ფეკალური მასისგან მიღებული ორგანული სასუქი; 8. ერთი მსახიობის თეატრი თბილისში; 10. პატარძლის მეჯვარე ქორწილში; 13. მოთელილი მატყლის თბილი მოსასხამი; 15. აეროპორტი პრაღაში; 16. ჭამის სურვილი; 17. ტბა გაგრის მახლობლად; 20. მდინარე ყვარელში; 21. ამერიკული საიუველირო ფირმა; 22. კუთხე საქართველოში; 23. დედამიწის თანამგზავრი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



საქართველოს ნაკრები ირლანდიაში პრობლემებით გაფრინდა

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები გუშინ დილით, ჩარტერული რეისით, დუბლინში უნდა გამგზავრებულიყო, თუმცა ერთსაათიანი ფრენის შემდეგ, „ჯორჯიან ეარვეისის“ კუთვნილმა თვითმფრინავმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, ნაკრების ლაინერმა ავარიული დაშვება განახორციელა. მიზეზად, დაზიანებული საქარემინა სახელდება.

სფფ-ს პრესსამსახურს ცნობით, ბორტზე პანიკა არ ყოფილა. ფეხბურთელებმა რამდენიმე წუთი დაჰყვეს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, რათა „ჯორჯიან ეარვეისს“ ეზრუნა ახალი თვითმფრინავის მომზადებისთვის. „ჯვაროსნები“ ირლანდიაში უკვე გაემგზავრნენ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები 2 და 5 ივნისს ამხანაგურ მატჩებს ირლანდიასა და დანიასთან გამართავს. მატჩების წინ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სფფ-ის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ პრესკონფერენცია გამართა და ამხანაგურ თამაშებამდე გუნდის მდგომარეობაზე ისაუბრა. თემურ ქეცბაია სხვა საინტერესო საკითხებსაც შეეხო.

თემურ ქეცბაია:

– კიდევ კარგი, თავიდან 28 კაცი გამოვიძახე. საბოლოდ, მიზეზების გამო, 23 ფეხბურთელზე ჩამოვედით და აქედან, 22 ირლანდიაში წამოვა. ერთი, დავით დევდარიანი კი პირდაპირ დუბლინში შემოგვიერთდება. მისი ჩამოუსვლელობის მიზეზი? არის გასასამართლებელი საბუთები და არის ისეთებიც, რასაც ახსნას ვერ ვუძებნი. სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ მიწევს ლაპარაკი იმაზე, რომ საქართველოში ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც სხვა ქვეყნებში. ქართული ფეხბურთის ჭირია, რომ ფეხბურთელი, ნაკრებში გამოძახების მიუხედავად, არ ჩამოდის. სხვა ქვეყნებში ნაკრებიდან მოწვევა უდიდეს ზეიმად ითვლება – საქართველოში სიტუაცია სხვაგვარია. ტრაგიკულია, რომ ზოგიერთი სპეციალურად ცდილობს, თავი აარიდოს ეროვნულ გუნდში ჩამოსვლას. არიან ადამიანები, რომლებიც ქვეყნისთვის ტანკს უვარდებიან, მაგრამ არიან ისეთებიც, ვისაც ფეხბურთის თამაშიც არ უნდა! ძალიან ცუდია, რომ ეს თემა სახვეწარია. როცა ეროვნული ნაკრების ღირსებას ვიცავდი, ყოველთვის ჩამოვდიოდი სათამაშოდ. როგორც ჩანს, დღეს ნაკრები ისეთი პრესტიჟული აღარაა, როგორც ადრე. თუმცა, არა უშავს. ჩვენ გვყავს ხალხი, რომლებიც მათ შეცვლიან. მატჩებს რაც შეეხება, ორივე მეტოქე ძლიერია. ორივე გასვლაა და მგონი, ნაკრების 27 მატჩიდან, თითქმის 20 სტუმრად გვიწევს. თუმცა, ყველაფერი ჩვენზე არაა დამოკიდებული: მართალია, აქ თამაში გვინდა, მაგრამ მეტოქეებსაც უნდა სურდეთ.

– ამ 2 შეხვედრაში მიზანი რა იქნება? ალბათ, ახალ ტაქტიკურ ვარიანტებს მოსინჯავთ.

– მიზანი ღირსეულად თამაშია. სქემა გვაქვს ჩამოყალიბებული და აღარ შეიცვლება. კარგია, რომ თითო მატჩში 6 შეცვლის უფლება გვექნება და თითქმის ყველას ვნახავთ საქმეში.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

თბილისი საბავშვო სპექტაკლების ფესტივალს უმასპინძლებს

პირველ ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს თბილისი თოჯინებისა და საბავშვო სპექტაკლების პირველ საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლებს.

როგორც თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი აცხადებს, ფესტივალი თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის ინიციატივითა და თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით გაიმართება.

– წელს თბილისში აღსდგა თოჯინებისა და საბავშვო სპექტაკლების საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში ჩატარდება. ფესტივალში ამ ეტაპზე საქართველოს თოჯინების თეატრების დასებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს სტამბულის ცნობილი დასი „ხის ჩარჩოს თეატრი“ სპექტაკლით „შავი კაბარე“, რომელიც წარმოდგენილი იქნება მარჯანიშვილის თეატრში პირველ ივნისს 18 საათზე და ერევნის სახელმწიფო თოჯინების თეატრი სპექტაკლით „აკ-აკ“ ნიკოლოზ გოგოლის „შინელის“ მიხედვით. ერევნის დასის სპექტაკლი წარმოდგენილი იქნება მოზარდ მაყურებელთა თეატრში ასევე პირველ ივნისს 20 საათ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

„ქუჩის მუსიკალური დღეები“ მარჯანიშვილის მოედანზე მოეწყობა

ამიერკავკასიის ყველაზე მასშტაბური საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „თბილისი ოფენ ეარი 2013“ ახალ პროექტს – წინასაფესტივალო ქუჩის მუსიკის დღეებს ინყებს.

როგორც „თბილისი ოფენ ეარ 2013“-ის წარმომადგენელი სოფიო ებრალიძე აღნიშნავს:

– 30 და 31 მაისს 19 საათიდან „თბილისი ოფენ ეარ 2013“ და „კაფე ინნ“ წარმოგიდგენთ ყველაზე მასშტაბურ და სახალხო ქუჩის მუსიკის დღეებს. მარჯანიშვილის მოედანზე, კერძოდ, აღმაშენებლის გამზირი 86, მთელი საღამოს განმავლობაში გამვლელებს საშუალება ექნებათ ფესტივალის მონაწილეები გახდნენ და მისი მუხტი შეიგრძნონ. ნებისმიერ გამვლელს თითოეულ დღეს ივენთში მონაწილე სხვადასხვა იმიჯის მქონე პერფორმერები მოიპატიჟებენ. გამვლელებს საშუალება ექნებათ გადაიღონ სამახსოვრო ფოტო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ძლიერი სიცხისგან ინდოეთში 500 ადამიანი დაიღუპა

ბოლო ორი თვის განმავლობაში, ინდოეთში ძლიერი სიცხის შედეგად, 524 ადამიანი დაიღუპა. ამის შესახებ ინფორმაციას ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციათა სამსახური ავრცელებს.

არაოფიციალური სტატისტიკის მიხედვით კი, ჯოჯხეთური სიცხის მსხვერპლი 600 ადამიანზე მეტი გახდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სინოპტიკოსები დამაიმედებელ პროგნოზს ვერ იძლევიან – უახლოეს პერიოდში ტემპერატურის ვარდნა და წვიმები მოსალოდნელი არ არის.

ცხელი ტემპერატურა, მოცემული სეზონისთვის ინდოეთში დამახასიათებელია, თუმცა აღსანიშნავია, რომ წელს ტემპერატურამ ნორმას რამდენიმე გრადუსით გადააჭარბა.

ბოლო დღეების განმავლობაში ინდოეთის სხვადასხვა რეგიონებში ჰაერის ტემპერატურამ 45 გრადუს ცელსიუსს მიაღწია, ქალაქ ეტავაჰეში ის 46,2 გრადუსს გაუტოლდა. ქვეყანაში მრავალმა დაწესებულებამ სამუშაო საათების რაოდენობა შეამცირა, ადგილობრივი მაცხოვრებლები კი, ცდილობენ, შუადღის საათებში ქუჩაში არ გამოვიდნენ.

ინდოეთი მოსახლეობის რიცხოვნობით მეორე ქვეყანაა მსოფლიოში. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანამ გადალახა ეკონომიკური იზოლაცია და ჩამორჩენილობა და ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოდ იქცა.

გ. მ.